cyan magenta yeloow black

# საქართველოს რესპუბლიკა

ვებ გვერდი: www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 14 იანვარი. 2016 წ. №7 (7899), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

# ძველითაც მაინც ახალია, გილოცავთ!

## 14 იანვარი ქართული თეატრის დღეა!

„მოხუცი ჯამბაზები“.


**ეს ნახეთ!..**

**ეს ნაკლები, სხვასან**

**ეს ნაკლები, ბაზ**

**ეს ნაკლები, ბ**

**ეს ნ**

**ეს**

**ეს**

**ეს

◎ პატივგება

# თავისუფლების დაცვის 25 წლის იუბილე

**საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ლიტვის თავისუფლების დაცვის 25 წლისთავთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.**

„დღეს ლიტვის თავისუფლების დაცვის 25 წლისთავია! დღე, რომელიც თავისუფლებისა და სახელმწიფოებრიობისათვის ბრძოლის სიმბოლოდ იქცა. 1991 წლის 13 იანვარს, ლიტველმა ხალხმა საკუთარი სიცოცხლე შეწირა უდიდეს იდეალს - აეშენებინათ თავისუფალი, წარმატებული და დამოუკიდებელი სახელმწიფო. ეს გმირული საქციელი ცხადყოფს, რომ ვერაფერი აღუდგება წინ დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის სულსა და შთაგონებას. საქართველო პატივს მიაგებს იმ გმირების ხსოვნას, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლე თავისუფლებას, როგორც მათ უმაღლეს ღირებულებას მიუძღვნეს!

ქართველები და ლიტველები ერთად იბრძოდნენ დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობისათვის; ჩვენ ახლაც ვდგავართ ჩვენს ლიტველ მეგობრებთან ერთად, რომ მომავალი თაობებისთვის შევქმნათ ნათელი მომავალი“, — ნათქვამია გიორგი მარგველაშვილის განცხადებაში.

**შეგახსენებთ, რომ ვილნიუსის 1991 წლის 13 იანვრის ტრაგიკული მოვლენა თბილისის 1989 წლის 9 აპრილის ანალოგიაა.**

# ორი ქვეყნის ტრაგედია, ერთი სცენარით...

ვილნიუსი 1991 წელი.

თბილისი 1989 წელი.

**ვილნიუსის 1991 წლის 13 იანვრის ტრაგიკული მოვლენის 25 წლისთავის აღსანიშნავად, რომელიც თბილისის 1989 წლის 9 აპრილის ანალოგია, პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა და ლიტვის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა გიედრიუს პუოჯუნასმა 9 აპრილის მემორიალი გვირგვინით შეამკეს.**

„ჩვენი მოძმე ლიტველი ხალხი აღნიშნავს 25 წლისთავს იმ ტრაგიკული მოვლენებიდან, რამაც შეძრა მაშინ არა მხოლოდ ლიტვა, არა მხოლოდ პოსტსაბჭოთა სივრცე, არამედ მსოფლიო, როდესაც უდანაშაულო ადამიანები თავისუფლებისთვის ბრძოლას შეეწირნენ — ბრძოლას საბჭოთა იმპერიასთან. ეს იყო 25 წლის წინ. მაშინ ჩვენ, ქართველი ხალხი, ლიტველებთან ერთად, ვიბრძოდით თავისუფლებისთვის, ვიყავით სოლიდარული, ვიყავით ერთად“, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ და დასძინა, — „რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, 25 წლის თავზე ჩვენ შეგვიძლია, თამამად, ამაყად განვაცხადოთ, რომ ლიტველი და ქართველი ხალხი კვლავ ხელიხელჩაკიდებული მიდის წინ თავისუფლებისთვის, დამოუკიდებლობისთვის, ღირსებისთვის და ეს ასე გაგრძელდება ალბათ ძალიან ბევრი 25 წელი“.

ლიტვის რესპუბლიკის ელჩმა და ქართველ ერს სოლიდარობისთვის მადლობა გადაუხადა.

„1991 წლის 13 იანვარი იგივეა, რაც 1989 წლის 9 აპრილი. ეს ჩვენი უახლესი ისტორიის ორი ფუნდამენტური დღეა, ჩვენი ერების სოლიდარობისა და სულიერი სიძლიერის გამოხატვისა და საფუძვლის ჩაყრის ჩვენი დამოუკიდებლობისთვის. ძალიან მადლიერები ვართ თქვენი სოლიდარობისა და პატივისცემისთვის“, — განაცხადა ელჩმა.

# სტრატეგიული თანამშრომლობა კომპანია „სოკართან“ უაღრესად მნიშვნელოვანია, ჩვენ ერთად გადავჭრით პრობლემებს

**ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა კომპანია „სოკარის“ პრეზიდენტ როვნაგ აბდულაევთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა.**

შეხვედრას, საქართველოს მხრიდან ენერგეტიკის მინისტრი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი და ბიზნეს-სომბუდსმენი, აზერბაიჯანული მხრიდან კი — კომპანია „სოკარის“ ვიცე-პრეზიდენტი, კომპანიის საინვესტიციო დეპარტამენტის უფროსი და „სოკარ ჯორჯიას“ გენერალური დირექტორი დაესწრნენ.

მხარეებმა არსებული პარტნიორობის ფარგლებში მიმდინარე საკითხები განიხილეს და შეთანხმდნენ, რომ საქართველოსა და კომპანია „სოკარს“ შორის სტრატეგიული თანამშრომლობა გაგრძელდება და გაღრმავდება.

**„აზერბაიჯანი საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია. მიუხედავად ბოლო პერიოდში არსებული პოლიტიკური სპეკულაციებისა, მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ სტრატეგიული თანამშრომლობა კომპანია „სოკართან“ უაღრესად მნიშვნელოვანია და ჩვენ მზად ვართ, განვიხილოთ მომავალი თანამშრომლობის გაღრმავების საკითხები. აზერბაიჯანი საქართველოს მეგობარი ქვეყანაა და ეს არის ყველაზე მთავარი. ჩვენ გვსურს, ერთად გადავჭრათ პრობლემები. ვფიქრობ, არანაირ ტექნიკურ წინაღობას არ შეუძლია ხელი შეუშალოს ჩვენი თანამშრომლობის განვითარებას,“** — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო იმ ტექნიკურ პრობლემებს, რომელიც საქართველოში ზამთარ-ზაფხულის განმავლობაში ბუნებრივი აირის მიწოდების სეზონური დაბალანსების თვალსაზრისით არსებობს.

მხარეებმა განიხილეს დეფიციტის შევსების ტექნიკური გზები და აღნიშნეს, რომ ამ მიმართულებით მუშაობას სამუშაო ფორმატში გააგრძელებენ.

კომპანია „სოკარმა“ ასევე დაინტერესება გამოთქვა მიწისქვეშა გაზსაცავის პროექტის მიმართ, რომლის განხორციელების დაწყებაც 2016 წელს იგეგმება. მხარეებმა ხაზი გაუსვეს „შაჰ-დენიზის“ მეორე ფაზის პროექტის მნიშვნელობას, რომლის დასრულების შემდეგ დამატებითი მოცულობის გაზს საქართველო 2019 წლიდან მიიღებს.

**კომპანია „სოკარის“ პრეზიდენტმა პრემიერ-მინისტრთან შეხვედრას მნიშვნელოვანი უწოდა. როვნაგ აბდულაევმა, ასევე, პრეზიდენტ ილჰამ ალიევის სახელით, გიორგი კვირიკაშვილს ახალი წელი და პრემიერ-მინისტრის პოსტზე დანიშვნა მიულოცა და მას წარმატებები უსურვა.**

◎ ინფორმაცია

## პრეზიდენტს წლიური ანგარიშით საგაზაფხულო სესიაზე ელიან

**საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი პარლამენტის წინაშე წლიური ანგარიშით საგაზაფხულო სესიაზე წარდგება. დეტალები და კონკრეტული თარიღი კი პარლამენტის ბიუროზე დაზუსტდება.**

**პრეზიდენტის მოხსენებასთან დაკავშირებით პრეზიდენტის ადმინისტრაციასა და პარლამენტს შორის კონსულტაციები გაიმართება.**

**უმრავლესობაში აცხადებენ, რომ მათთვის საინტერესოა როგორ აპირებს გიორგი მარგველაშვილი ახალ პრემიერთან თანამშრომლობას.**

**ოპოზიციაში მიიჩნევენ, რომ ახალმა პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა არ უნდა გაგრძელოს მისი წინამორბედის გამოცდილება და დაესწროს პრეზიდენტის გამოსვლას.**

**საგაზაფხულო სესია თებერვლის პირველ სამშაბათს, 2 თებერვალს, იხსნება.**

## საჯარო რეესტრის სერვისებით სარგებლობა - მობილური აპლიკაციით

**იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დისტანციური სერვისებით სარგებლობის არხები კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდა. მობილური აპლიკაცია NAPR, რომელიც საჯარო რეესტრში შეიქმნა, მომხმარებლებს მობილური ტელეფონით ან პლანშეტური კომპიუტერით უძრავი ქონების რეესტრის სერვისებით სარგებლობის საშუალებას აძლევს.**

**იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, ამჟამად მობილური აპლიკაციით მსურველებს სასურველი უძრავი ქონების სარეგისტრაციო განაცხადის მოძებნა შეუძლიათ. ძიების განხორციელება ყველა იმ პარამეტრითაა შესაძლებელი, რაც ვებპროგრამაში მოქმედებს. კერძოდ, განაცხადის ნომერი, პიროვნების სახელი და გვარი ან პირადი ნომერი, ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი, უძრავი ქონების მისამართი და საკადასტრო კოდი. მობილური აპლიკაცია მუდმივად განახლებადი იქნება და მომდევნო ვერსიებს ეტაპობრივად უძრავი ქონების რეესტრის სხვა სერვისებიც დაემატება.**

**ამჟამად აპლიკაცია უკვე ხელმისაწვდომია ანდროიდის მომხმარებლებისთვის, უახლოეს მომავალში კი მის გამოყენებას IOS-ის მომხმარებლებიც შეძლებენ.**

# ბუნებრივი აირის დეფიციტის შევსება აზერბაიჯანული გაზით წელს ვერ მოხერხდება

**ამის შესახებ ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილსა და „სოკარის“ წარმომადგენლების შეხვედრის შემდეგ განაცხადა.**

მისი განმარტებით, „სოკარის“ ორივე მილსადენი, რომლებითაც საქართველო ბუნებრივ აირს იღებს, დღეს მაქსიმალურ სიმძლავრეზე მუშაობს.

**„იყო საუბარი, განხილვა არსებული სიტუაციის, იმ ტექნიკური პრობლემების და დისბალანსის, რომელიც ჩვენ გვაქვს ზამთარ-ზაფხულის განმავლობაში. ერთი წლის ჭრილში მთლიანი მოწოდების პრობლემა არ არსებობს, მაგრამ გვაქვს პიკური მოხმარების თვეები. განსაკუთრებით, ზამთრის პერიოდში, როდესაც ამ პრობლემის მოგვარება ხდებოდა რუსული გაზით დაბალანსების შედეგად“,** — განაცხადა კალაძემ.

მან ასევე აღნიშნა, რომ აზერბაიჯანი არის საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი ქვეყანა.

**„ჩვენ მომავალშიც ვაგრძელებთ თანამშრომლობას, ურთიერთობას. საუბარი იყო გაზსაცავის მშენებლობაზე, რომელსაც ვაპირებთ, რომ 2016 წელს დავიწყოთ. ამ პროექტში მონაწილეობის ინტერესი აქვს „სოკარს“. ვფიქრობ, ჩვენი ქვეყნისთვისაც მნიშვნელოვანი იქნება ამ პროექტის განხორციელება, ზუსტად იმ პრობლემის მოსაგვარებლად, რომელიც დღეს გვაქვს ზამთარ-ზაფხულის მოხმარების თვალსაზრისით.**

**სამომავლოდ ჩვენ ვგეგმავთ და არის იმის შესაძლებლობა, რომ განვახორციელოთ ისეთი პროექტი, რომელიც მოგვცემს ამ მილსადენში დამატებითი მოცულობების გატარების შესაძლებლობას“,** — განაცხადა კალაძემ.

◎ სიმართლე კი ასეთია!

# საერთაშორისო დახმარებით ნაცები... თავიანთ თავს დაეხმარნენ!

## გაზსაცავის მშენებლობისთვის 2008 წლის შემდეგ გამოყოფილი თანხა „შეიჭამა“



**ეკონომიკის ექსპერტი მიხეილ დუნდუა სოციალურ ქსელში, ფეისბუქის საკუთარ გვერდზე საქართველოსთვის ბუნებრივი აირის მიწოდების საკითხს გამოეხმაურა. მისი მოსაზრებით, გაზსაცავის მშენებლობისთვის 2008 წლის შემდეგ გამოყოფილი თანხა „შეიჭამა“. მისივე განმარტებით, რუსულ კომპანია „გაზპრომთან“არც ტრანზიტის და არც გაზის მოწოდების თვალსაზრისით, გრძელვადიანი ხელშეკრულების გაფორმება არ იგეგმება.**

**„მედიანიუსი“ მის პოზიცია გთავაზობთ:**

### „ლაუაზიეს კანონი, ანუ რატომ ვსაუბრობთ „გაზპრომთან“:

1. სანამ ლაუაზიეს კანონს დავუკვირდებოდეთ, უნდა გავიხსენოთ, რომ რუსეთი საქართველოს გავლით გაზს აწვდის სომხეთს, საიდანაც საქართველო, ამ სატრანზიტო მომსახურების ფულადი ანაზღაურების ნაცვლად, გაზპრომისგან გაზს ნატურით იღებს. დღეს მიმდინარეობს მოლაპარაკებები, რომ არაპიკურ სეზონზე საქართველომ ანაზღაურება მიიღოს ფულადი სახით. ეს სწორი გადაწყვეტილებაა. არაპიკურ პერიოდში საქართველო გაზრდის გაზის შესყიდვას აზერბაიჯანიდან და შეწყვეტს რუსეთიდან.

2. ახლა განვიხილოთ ლაუაზიეს კანონი. ზამთრის სეზონზე (ნოემბერი-მარტი), როდესაც ყოველწლიურად იზრდება ბუნებრივი აირის მოხმარება, დღიურმა იმპორტმა უკვე 11 მილიონს გადაჭარბა, საიდანაც 2.9 მილიონის მოწოდება ხდება სამხრეთკავკასიური მილსადენის (შაჰდენიზი) საშუალებით, 6 მილიონამდე დღიური მოწოდება ხორციელდება სოკარის მიერ ოპერირებული მილსადენიდან.

ისმის კითხვა: დანარჩენი 2-2.5 მილიონი კუბური მეტრი საიდან უნდა გამოვატიოთ. **ცნობისთვის:** ზაფხულის თვეებში დღიური იმპორტი მხოლოდ 4 მილიონის ფარგლებშია და მისი მოწოდება აზერბაიჯანიდან არსებული ორი მილსადენის საშუალებით პრობლემა არ არის. ზამთარში კი ამ 2-2.5 მილიონ კუბურ მეტრს დღიურად ვიღებთ რუსეთისგან.

3. სტატისტიკა: 2014 წელს მოხმარება იყო 2.1 მილიარდი კუბური მეტრი; 2015 წელს 2.5 მილიარდი კუბური მეტრი, ანუ გვაქვს დაახლოებით 19-პროცენტიანი ზრდა (არაფერს ვამბობ 2012 წელთან შედარებაზე, ისედაც მიხვდებით, ალბათ). მოსახლეობა და თბოსადგურები მთლიანობაში მოიხმარენ 1.4 მილიარდ კუბურ მეტრს, ანუ 56 პროცენტს, დანარჩენი კი კომერციული სექტორის მოხმარებაა.

4. ისევ ლაუაზიეს კანონის თანახმად, რუსეთიდან გაზის მიღების შეწყვეტის შემთხვევაში, ალტერნატივაა, გაჩერდეს თბოსადგურების მიერ ელექტროენერგიის გამომუშავება და გაიზარდოს ელექტროენერგიის იმპორტი ისევ რუსეთიდან და დაახლოებით 400 მეგავატი იმპორტი დაემატოს თურქეთიდან, რაც თანხობრივად 70-80 მილიონი აშშ დოლარია ყოველწლიურად.

5. რა არის გამოსავალი? სეზონური დისბალანსისა და დღიური პიკური მოხმარების დაკმაყოფილების მიზნით აუცილებელია, ავაშენოთ გაზსაცავი. სწორედ ამ მიზნით იწყება მიწისქვეშა გაზსაცავის პროექტის განხორციელება, წინასწარი პარამეტრებით, პროექტის საინვესტიციო ღირებულება 230-250 მილიონი აშშ დოლარია, მოცულობა კი — 200 მილიონი კუბური მეტრი.

6. ისმის კითხვა, რატომ არ გვაქვს დღეს ეს არდასაწვავი გაზსაცავი?

**იმიტომ არ გვაქვს, ძმებო და დებო, რომ იმ 4,5-მილიარდიანი საერთაშორისო დახმარებიდან, 2008 წლის შემდეგ საქართველომ რომ მიიღო, ასეულობით მილიონი დოლარი სწორედ გაზსადენის მშენებლობისთვის გამოგვიყვეს. და ეს ფული შეიჭამა.**

ამ დახმარებას თავი რომც დავანებოთ, მარტო 2012 წელს სახელმწიფო სექტორმა 1 მილიარდ 40 მილიონი წმიდა საგარეო ვალი აიღო და არც მაშინ არავის უფიქრია გაზსაცავის შექმნაზე. **სამაგიეროდ, გვაქვს პარლამენტის საამაყოდ გიგანტური შენობა ქუთაისში და პრეზიდენტის დიდებული სასახლე ავლაბარში.**

7. და ბოლოს, აღსანიშნავია, რომ გაზპრომექსპორტთან არ განიხილება გრძელვადიანი ხელშეკრულების გაფორმება არც ტრანზიტის და არც გაზის მოწოდების თვალსაზრისით, და მოლაპარაკების საგანია პირობები, რომლებიც მხოლოდ 2016 წლის ბოლომდე იქნება მოქმედი.

**მიხეილ დუნდუა**

◎ ინფორმაცია

## კლაუს შვაბი პრემიერს ულოცავს და დავოსში ეპატიჟება

**დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის დამფუძნებელი, პროფესორი კლაუს შვაბი გიორგი კვირიკაშვილს საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნას ულოცავს. იგი საქართველოსთან მჭიდრო თანამშრომლობის იმედს გამოთქვამს და მიიჩნევს, რომ პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის მონაწილეობა დავოსის ყოველწლიურ მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმში, მნიშვნელოვანია.**

**„თქვენი მონაწილეობა 2016 წლის ყოველწლიურ შეხვედრაზე დავოს-კლოსტერსში იქნება მნიშვნელოვანი მოვლენა თქვენი პრემიერ-მინისტრობის დასაწყისში, ასევე საკვანძო ეტაპი საქართველოს ისტორიაში. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის სურვილია, წლის განმავლობაში კიდევ უფრო მჭიდროდ ითანამშრომლოს საქართველოსთან ახალი ინიციატივის, „ეკონომიკური კეთილდღეობის აბრეშუმის გზის“ ფარგლებში, რომელიც თავს უყრის ევროპას, ევრაზიასა და აზიას და მიზნად ისახავს ეკონომიკური ზრდისა და სოციალური ინკლუზიურობის ხელშეწყობას,“ — აღნიშნულია წერილში. კლაუს შვაბი საქართველოს მთავრობას მხარდაჭერას უცხადებს.**

**„მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, როგორც საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს საჯარო და კერძო სექტორების თანამშრომლობის გზით მსოფლიოში დადებითი ცვლილებების შეტანას, მზად არის თქვენი და თქვენი მთავრობის დასახმარებლად ყველა თქვენს წარმოწყებაში. იმედის თვალით შევყურებთ თქვენთან და თქვენს კაბინეტთან მჭიდრო თანამშრომლობას საქართველოში დადებითი ცვლილებების განხორციელების გზაზე. კიდევ ერთხელ, გულწრფელად გილოცავთ. მოუთმენლად ველი თქვენთან შეხვედრას დავოსში,“ — აცხადებს კლაუს შვაბი.**

**მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი დავოსში 20-23 იანვარს გაიმართება. ფორუმში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს დელეგაცია, პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის ხელმძღვანელობით.**

ХО-ЭОВ-ЭЕО

◎ საით მივდივართ?

# ევროპელი მამათმავალი ისეთი თავხედი არ არის, როგორიც ქართველი...

## რატომ ბაძავს გერმანია საქართველოს?!

**კიოლნში მიმდინარე მოვლენებმა ევროპისკენ მიმავალ საქართველოში რატომღაც დიდი ინტერესი არ გამოიწვია.**

არადა, საკმაოდ არაორდინარული ამბები ხდება. გერმანულმა სპეცრაზმებმა ხელკეტებით და ცივი წყლის ჭავლებით დაშალეს ემიგრანტების თავხედობის წინააღმდეგ შეკრებილი გერმანელები.

ეს სწორედ ის „სპეცნაზია“ სადღაც რომ იმალებოდა მაშინ, როდესაც ათასამდე ემიგრანტი გერმანელ ქალებს ძარცვავდა და პირდაპირ შუა ქუჩაში აუპატიურებდა.

გერმანულ „სპეცრაზმს“ მძარცველებისთვის არათუ ხელკეტი დაურტყამს, — სიტყვიერი შეურაცხყოფაც კი არ მიუყენებიათ (ოჰ, ეს ევროპული და, მაშასადამე, ქართული ტოლერანტობა).

ისწავლეს ჩვენგან, როგორც იქნა, გადამთიელი სტუმრების პატივისცემა!

ასეთი ტოლერანტობა არ სუფევდა საქართველოში, როდესაც ძარცვა-გლეჯა პოლიციის პასიური მეთვალყურეობის ქვეშ მიმდინარეობდა?

ახალი წლის ღამეს გერმანული „სპეცნაზის“ სამარცხვინო დამალვის ფაქტიც, ალბათ, „ქართული“ მიზეზებით თუ აიხსნება — როგორც ჩანს, ემიგრანტებმა ნაძარცვის ნახევარი გერმანელ სპეცრაზმელებს გაუნაწილეს!

კიდევ ერთი არაორდინარული პარალელი იკვეთება საქართველოსა და ევროპას შორის. როგორც ცნობილია, ქართველები ჩაგრულების და ავადმყოფების მიმართ სოლიდარობით — ჭირში და ვარამში ხელის გამართვით გამოირჩევიან.

ევროპელებმაც გადაწყვიტეს „ავადმყოფი ჩაგრულების“ დაცვა და ანტიდისკრიმინაციული კანონი მიიღეს, რომლის მიხედვითაც ყველა ევროპელი ვალდებულია პატივი სცეს მამათმავლებს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი გაუკუღმართებული სექსით ღებულობენ სიამოვნებას! (სხვა საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობა მათ მაინცდამაინც არ მოეთხოვებათ) ამიტომ, გერმანელი მეწარმე ვალდებულია, მიიღოს სამსახურში პირველ რიგში მამათმავალი — თუგინდ ის პროფესიონალიზმით არ ბრწყინავდეს. სამსახურში მიღებულმა რომც არაფერი აკეთოს — მაინც ვერ გააგდებს უსაქმურობისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში სოლიდური ჯარიმები არ ასცდება.. სასამართლოს მისი კუთვნილი საწარმოს დახურვის უფლებაც კი აქვს სრულიად კანონიერად.

დაახლოებით იგივე პრივილეგიები არ ჰქონდათ ნარკომანიით დაავადებულ ქართველებს 90-იან წლებში ? ისინიც მხოლოდ იმისთვის ითხოვდნენ პატივისცემას, რომ სიამოვნებას ნარკოტიკებით ღებულობდნენ და სხვა საზოგადოებრივად სასარგებლო მოღვაწეობა სავალდებულოდ არ მიაჩნდათ.

ქართველი ბიზნესმენებიც იძულებული იყვნენ, რომ თავის არაფორმალურ მოადგილეებად ნარკომანები დაენიშნათ და მათთვის „ხელფასები“ და „პრემიები“ ეხადათ. ზოგი ნარკომანი თვითონ ბიზნესმენის უფროსობაზეც კი აცხადებდა პრეტენზიას.

რომელიმე ქართველ ბიზნესმენს ამ ნარკომანებისთვის უარი რომ ეთქვა — „დაყაჩაღების მეთოდით“ დაჯარიმება არ ასცდებოდა. არც ქონების სრული ჩამორთმევა იყო გამორიცხული, ოღონდ — არა ევროპულად ოფიციალური, არამედ, ქართულად, „დაუწერელი კანონების“ მიხედვით!...

ე.ი. რა გამოდის, ევროპა ოფიციალურად მიექანება იმისკენ — რისგანაც საქართველო თავის დაღწევას ცდილობს?!

ზედაპირული განსხვავებები, რა თქმა უნდა, აშკარაა — თუ ევროპელებისთვის მიუღებელია ნარკომანების პარპაში, ქართველებისთვის გულისამრევია მამათმავლების, ბოდიშს ვიხდი ჟარგონისთვის, „ბლატავი“. არსებითად რომ განვიხილოთ — ევროპელი მამათმავალი ისეთივე უსინდისო თავხედი პარაზიტი არ არის, როგორიც ქართველი ნარკომანი? ორივენი ხომ თავისი ფსიქიკური გადახრებისთვის ითხოვენ პატივისცემას და არა საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობისათვის?!

...და ამ არაადეკვატური მოთხოვნის დაკანონებაა ვითომ სამართლიანობა?

ემიგრანტებისთვის გერმანელი ქალების ძარცვის უფლება იურიდიულად ვერ დაკანონდება — ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება ადამიანის საბაზისო უფლებებს. მაგრამ როგორც ჩანს, ევროპელები ამ შემთხვევაში „დაუწერელი კანონების“ ქართულ ტრადიციას გამოიყენებენ!!!

იურიდიული კანონით კი იქნება დასჯადი ყაჩაღობა და ძალადობა, მაგრამ დაუწერელი კანონით ემიგრანტებს ექნებათ ევროპელი ქალების ძარცვისა და გაუპატიურების უფლება. ეს დაუწერელი კანონი უკვე გამოვლინდა კიოლნიში, ახალი წლის ღამეს.

ასე და ამრიგად, თვითონ ევროპა მოექანება უკვე საქართველოსკენ და ჩვენ საითღა მივექანებით?!

ნუთუ ისევ ავადსახსენებელ 90-იან წლებს უნდა დავუბრუნდეთ, ან კიდევ „ნაცების“ მიერ დამკვიდრებულ ლამის ოფიციალური ძარცვა-გლეჯის სისტემას?!

**კობა გიწაძე**

# თავისი ნებით გადადგა?

**„მე მყისიერად დავუჭირე მხარი პრემიერის გადადგომას“! თითქოს გვახარა თავისი განცხადების დასაწყისშივე პრეზიდენტმა. შეიძლება მხარი დაუჭირო რომელიმე პოზიციაზე დასანიშნად წარდგენილ კანდიდატურას, მაგრამ მოქმედი პრემიერის გადადგომას(!) „დაუჭირო მხარი“, თანაც, „მყისიერად“, ისე, რომ მიზეზიც არ იკითხო, ეს ყოვლად წარმოუდგენელია!**

## კომენტარები კომენტარებზე

**როდესაც საკუთარი(!) ნებით და, თანაც, ყველასთვის მოულოდნელად (მინისტრთა კაბინეტის წევრებისთვის, თანაპარტიელებისთვისაც) ტოვებენ მაღალ პოსტს, მიზეზს აუცილებლად ასახელებენ, რაღაცას, თუნდაც, ძნელად დასაჯერებელს, მაინც იგონებენ. ამ მიზეზს, პირველ რიგში, თავად გადადგომის გადაწყვეტილების მიმღები ასახელებს ხოლმე. ჩვენ შემთხვევაში კი, მინიშნებაც არ გაკეთებულა ღარიბაშვილის მხრიდან!**

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ უმიზეზოდ ამგვარი პოლიტიკური მეხის გავარდნა წინა ღამით ნანახი ცუდი სიზმრის გამო არ ხდება, რომ გარეშე ძალების ჩაურევლად მთავრობის მეთაურის, სახელმწიფოს პირველი პირის ვადამდელი გადადგომა მსოფლიომ არ იცის (უახლეს ისტორიას, ივანიშვილის გადადგომას თუ არ ჩავთვლით)! არც მოსახლეობის უკმაყოფილებით შეიძლება პრემიერის ამ ნაბიჯის ახსნა, რადგანაც ყველაზე ნაკლები პრეტენზიები სწორედ მის მიმართ ჰქონდა ქართველ საზოგადოებას.

სანამ გარეშე ძალებზე ვიტყოდე რამეს, ჯერ აუცილებლად უნდა განვიხილო პრეზიდენტის, ყოფილი პრემიერ-მინისტრის (როგორც ავი ენები ამბობენ, ფაქტიური პრემიერ-მინისტრის) და ზოგიერთი პოლიტიკოს-ექსპერტის ერთობ საინტერესო რეაგირება ამ ფაქტზე. მათი კომენტარები არანაკლებ გამაოგნებელია, ვიდრე თავად პრემიერის გადაწყვეტილება. მხოლოდ რამდენიმეზე, ყველაზე თვალშისაცემზე შევჩერდები.

**პრეზიდენტისგან დავიწყებ.** პრემიერთან ძალზე დაძაბული (ფაქტობრივად, გაწყვეტილი) ურთიერთობის მიუხედავად, ასეთ კომენტარს მაინც არავინ არ მოელოდა: **„მე მყისიერად დავუჭირე მხარი პრემიერის გადადგომას“!** თითქოს გვახარა თავისი განცხადების დასაწყისშივე პრეზიდენტმა. შეიძლება მხარი დაუჭირო რომელიმე პოზიციაზე დასანიშნად წარდგენილ კანდიდატურას, მაგრამ მოქმედი პრემიერის გადადგომას(!) „დაუჭირო მხარი“, თანაც, „მყისიერად“, ისე, რომ მიზეზიც არ იკითხო, ეს ყოვლად წარმოუდგენელია! რაც არ უნდა დაპირისპირება იყოს სახელმწიფოს პირველ პირებს შორის, პრეზიდენტი ვალდებულია, ფორმალურად მაინც, გადადგომის მიზეზით დაინტერესდეს და მოსახლეობასაც მოახსენოს ამის თაობაზე, და არა წარბაწეულმა ომახიანად (როგორც გამარჯვებულმა!) გამოუცხადო შენს სახტად დარჩენილ ხალხს (მისი არჩეული ხარ თუ ვიღაცის დანიშნული, მნიშვნელობა არა აქვს), რომ მიზეზები უცნობია, მაგრამ მაინც „მყისიერად უჭერ მხარს“ პრემიერის გადადგომას. ასეთი განცხადება არც პოლიტიკურადაა გამართლებული და არც — ეთიკურად. თანაც, „გადადგომა“ შეიძლება დააკმაყოფილო, მოიწონო ან არ მოიწონო, მაგრამ „მხარი დაუჭირო“ გადადგომას, ასეთი ფორმა არ იხმარება არც ერთ ენაში, ასეთ ლაფსუსს მეტყველებაში თანაც ორჯერ ზედზედ მხოლოდ მოულოდნელად მოზღვავებული სიხარული (ძლიერი კონკურენტის გზიდან ჩამოცილებით გამოწვეული) თუ დაგაშვებინებს!

**ახლა უფრო მთავარზე,** — უფროსი მეგობრის, „ყოფილი“ პრემიერის რეაგირებაც ვნახოთ: **„ღარიბაშვილი კარგი პრემიერი იყო, რომელმაც თავისი წარმატებების ზენიტში დატოვა ხელისუფლება, ისევე, როგორც მე“, „კარგი ნაბიჯი გადადგა“, „კმაყოფილი ვარ“**.

როგორ შეიძლება მიესალმო, მოიწონო უმიზეზო გადადგომა წარმატებული პრემიერისა, რომელიც, 33 წლის ახალგაზრდა კაცი(!), თურმე, ცოტა გადაიღალა (პრემიერობის ორ წელიწადში!) და დასვენებას საჭიროებს! საკუთარი ნებით გადადგომით ღარიბაშვილმა, თურმე, დაამტკიცა, რომ სკამს, თანამდებობას არ ებღაუჭება და, რომ ამგვარი გადადგომა, ალბათ, მისაბაძიც უნდა იყოს ყველა თანამდებობის პირისთვის! ვნახოთ და, მართლა მიბაძეს ღარიბაშვილს „მუშაობით გადაღლილმა პატიოსანმა“ მინისტრებმა, დეპუტატებმა, სხვებმაც და ვადაზე ადრე გადადგნენ, მაშინ? სიხარულით ცას უნდა ვეწიოთ, რამდენი პატიოსანი სახელმწიფო მოღვაწე გვყოლიაო, ხომ? რაც უფრო ადრე გადადგებიან და, რაც უფრო ზენიტში, ალბათ, მით უფრო დასაფასებელი იქნება მათი ნაბიჯი. ივანიშვილის და კიდევ სხვების (გვარების ჩამოთვლას აზრი არა აქვს) ამგვარი „ლოგიკური“ წიაღსვლებიდან მხოლოდ ასეთი „ბრძნული“ დასკვნის გამოტანა ხერხდება! ვინაიდან უჭკუობას ვერავის ვერ დავწამებ, ამიტომ მსგავსი კომენტარები — პრემიერის ნაბიჯის მოწონება და მისაბაძად გადაწყვეტილებად გასაღება, საზოგადოების მასხრად აგდებას უფრო ჰგავს, ვიდრე სახელმწიფო მოღვაწისთვის შესაფერის სერიოზულ მსჯელობას!

**რა საძმიანობას გააგრძელებს ღარიბაშვილი?**

პოლიტიკოს-ექსპერტებიდან ზოგი რას ამბობს და ზოგიც — რას. ყველაზე გასაკვირი კი ის არის, რომ 2012 წელს ღარიბაშვილის პოლიტიკურ ასპარეზზე გამომყვანი ივანიშვილი, რომელმაც ჯერ შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნა იგი, ერთი წლის თავზე კი პრემიერ-მინისტრობა გადააბარა, ახლა საჯაროდ აცხადებს: **„ღარიბაშვილს შეუძლია საკუთარი პოლიტიკური გუნდი ჩამოაყალიბოს“!** ეს როგორ უნდა გავიგოთ? წარმატებული და სამაგალითო ხარ, მაგრამ ჩემს „ქართულ ოცნებაში“ უკვე აღარაფერი გესაქმებაო! ასეა ხომ? აბა, შენი შექმნილი კოალიციის გუშინდელ პირველ ნომერს ალტერნატიული პარტიის ჩამოყალიბებას რომ ურჩევ მეგობარი კაცი, სხვა დასკვნა განა შეიძლება გაკეთდეს?!

**არანაკლებ უცნაურია, როცა ზოგიერთი პოლიტიკოსი ოპოზიციური ძალების ლიდერობასაც კი სთავაზობს, ანუ — ამჟამინდელ ხელისუფლებასთან (ივანიშვილის ხელისუფლებასთან!) დაპირისპირებას!** კიდევ არის რაღაც-რაღაც სხვა რჩევებიც, მაგრამ არავინ ამბობს მთავარს — თუ რა მიზნით უნდა გააკეთოს ეს ექსპრემიერმა. პარლამენტში მოსახვედრად?! ან, იქნებ, პრეზიდენტობას რომ გამოჰკრას ხელი, იმიტომ?! რაც არ უნდა წარმატებული პოლიტიკოსი გახდეს ღარიბაშვილი, იმაზე მეტის მიღწევა, რა თანამდებობაც მას ეკავა, ხომ თეორიულადაც შეუძლებელია! და კიდევ, **ყველას ავიწყდება უმთავრესი — ის ძალები, რომლებმაც გადადგომა აიძულეს, არსად არ წასულან!** ამიტომაც, ვფიქრობ, ირაკლი ღარიბაშვილი პოლიტიკას, საერთოდ, ჩამოშორდება.

**რა სახის ზემოქმედება და ვისგან, საიდან (გარედან თუ შიგნიდან) უნდა განხორციელებულიყო ღარიბაშვილზე?**

ეროვნულ ფასეულობებზე უარისმთქმელი და მართლმადიდებლურ რწმენასთან მწყრალად მყოფი ე.წ. მედასავლეთეები, „ნაცმოძრაობის“ და „თავისუფალი დემოკრატების“ წინამძღოლობით, რომლებსაც ყველაზე ხშირად ეთმობათ ტელეეკრანი მოსახლეობის ტვინების გამოსარეცხად, თითს ივანიშვილისკენ იშვერენ, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე და მართლმადიდებლობის შენარჩუნებაზე ჭეშმარიტად მაფიქრალი, დასავლეთის მსოფლიო პოლიტიკაში ჩახედული, ეროვნულ პოზიციებზე მდგარი ძალები კი, რომლებსაც კანტიკუნტად იწვევენ წამყვან ტელეარხებზე, — ამერიკის საელჩოსკენ. მიმართულების დადგენა არც ისე ძნელია.

**დავიწყოთ შიდა მთავარი ძალით.** ივანიშვილს რომ ეთხოვა ღარიბაშვილისთვის, — მოდი, ირაკლი შენც გადადექი შენი ნებით ჩემსავით და ევროპა გავაკვირვოთო, — ძნელი დასაჯერებელია, თითქმის გამორიცხული. ისე, განა დღეს ვინმეს კიდევ სჯერა, რომ თავად ივანიშვილი თავისი ნებით გადადგა, და ეს გადადგომა წინასწარ არავისთან შეთანხმებული არ ყოფილა? განა, მალევე არ დავრწმუნდით ყველანი იმაში, რომ მასზე დაკისრებული (არა ქართველი ხალხის მიერ, ცხადია!) მთავარი მისია „რესპუბლიკელების“ და „თავისუფალი დემოკრატების“ ხელისუფლებაში მოყვანა და, „ნაცებთან“ კოჰაბიტაცია იყო, ხოლო სამართლიანობის აღდგენა და დამნაშავე ნაცრეჟიმის გასამართლება კი — მხოლოდ სატყუარა დაპირება! არა, გინესის რეკორდი კი დავამყარეთ, თანაც ისეთი, რომელსაც ვეღარავინ ვერ მოხსნის (სამ წელიწადში ორი პრემიერ-მინისტრი გადადგა „თავისი“ ნებით!), და ევროპაც წარმოუდგენლად გავაკვირვეთ ჩვენი ამგვარი „დემოკრატიულობით“. ევროპის გაკვირვებას გვპირდებოდა ივანიშვილი 2012-ის ოქტომბერში და აგვისრულა კიდეც თავისი დანაპირები (რა დეპუტატ-მინისტრებიც და, განსაკუთრებით, რა საარაკო მოსამართლეები დაგვიტოვა, იმაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია!), მაგრამ არა მგონია ივანიშვილს საკუთარი ინიციატივით ასეთი, საღი აზრისგან შორს მდგარი თხოვნით მიემართა თავისივე გამოზრდილი და დაწინაურებული ღარიბაშვილისთვის. არც რაიმე სერიოზული მიზეზი უნდა ჰქონოდა მას, რადგანაც ასეთ შემთხვევაში თავად მიზეზი არ დაიმალებოდა ჩვენს პატარა საქართველოში, სადაც პრემიერის გადადგომის თაობაზე ჟურნალისტებმა უფრო ადრე გაიგეს, ვიდრე დეპუტატებმა და მინისტრებმა. და, ამიტომ, აღარც ღარიბაშვილის ან ივანიშვილის მხრიდან ექნებოდა აზრი მიზეზების დამალვას.

ეჭვს არ უნდა იწვევდეს ისიც, რომ ისევე, როგორც ადრე (გავიხსენოთ ქ-ნ ხიდაშელის დანიშვნა თავდაცვის მინისტრად), ამჟამადაც ზეწოლა გარედან განხორციელდა, ოღონდ არა უშუალოდ ღარიბაშვილზე, არამედ — ფაქტობრივი პირველი პირის, ანუ ივანიშვილის მეშვეობით (სწორედ ესაა მიზეზი იმ დამკვიდრებული მცდარი აზრისა, რომ ივანიშვილია, თითქოს, ყველაფრის თავი და თავი). მიზეზებიც სწორად იქნა დასახელებული: ღარიბაშვილის მცდელობა (მხოლოდ მცდელობა!) შეძლებისდაგვარად გაეტარებინა ეროვნული პოლიტიკა, შეენარჩუნებინა ოჯახის ინსტიტუტი ტრადიციული გაგებით, დაეცვა ქართული მიწები უცხოელებზე მიყიდვისგან, ბავშვები — გამრყვნელი სქესობრივი აღზრდისგან, მართლმადიდებლობა — შეურაცხმყოფელი თავდასხმებისგან და, რაც მთავარია, დაემყარებინა უკეთესი ურთიერთობა რუსეთთან (ისევ და ისევ საქართველოს ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ცხადია). ასე ფიქრობს საკმაოდ ბევრი ადამიანი, ვინც მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებში ოდნავად მაინც არის ჩახედული. ჭეშმარიტებასთან სწორედ ეს მიზეზებია ყველაზე ახლოს, მაგრამ ერთია ლოგიკური მსჯელობით სწორ დასკვნებამდე მისვლა და, მეორე, როცა ამ დასკვნას, ანუ საქართველოს სამთავრობო (და არასამთავრობო!) კადრების განმკარგავ გარე ძალას თავდაცვის მინისტრი დაგიდასტურებს (ფაქტობრივად, დაგისახელებს!) ერთი ფაქტის გამჟღავნებით.

ყველას გვახსოვს თუ რა მოულოდნელად (აბსოლუტურად ყველა ჩვენგანისთვის!) დაინიშნა ქ-ნი ხიდაშელი თავდაცვის მინისტრად, ამერიკის ელჩის ივანიშვილთან სტუმრობის შემდეგ. იგი ისე იყო დარწმუნებული „რეკომენდატორის“ ძალებში, რომ არც კი დალოდებია პარლამენტის მიერ მისი კანდიდატურის დამტკიცებას (ვინ გაბედავდა წინააღმდეგ წასვლას!), — „მე უკვე მინისტრი ვარო“, განაცხადა და ღარიბაშვილის გადაწყვეტილების გამოცხადებისთანავე თავდაცვის სამინისტროში გადაბარგდა.

ახლა, პრემიერის გადადგომამდე და გადადგომის შემდეგაც, როდესაც მინისტრთა მთელი კაბინეტიც გადადგება ხოლმე, ინფორმირებული ჟურნალისტები 4-5 შესაცვლელი მინისტრის გვარსაც ასახელებდნენ, რომლებიც აუცილებლად დატოვებდნენ პოსტებს, მაგრამ მათ კიდევ ვინ და რამდენი მინისტრი მიყვებოდა, არავინ იცოდა დანამდვილებით. როდესაც ამის გასარკვევად ქ-ნ ხიდაშელს მიმართეს, მისგან სავსებით გარკვეული და მიმანიშნებელი(!) პასუხი მიიღეს: **მე არ ვიცი ვინ შეიცვლება, მაგრამ ის კი ვიცი დანამდვილებით, რომ ეს ცვლილებები თავდაცვის სამინისტროს არ შეეხებაო.** ანუ, სხვებმა იკითხონ, თორემ მე თავი ქუდში მაქვსო! ახალი პრემიერი (კვირიკაშვილი) თავისი შეხედულებისამებრ რომ არჩევდეს კანდიდატურებს, მაშინ ასე დარწმუნებული ვერც ერთი მინისტრი ვერ იქნებოდა. ხიდაშელი კი იმიტომ იყო დარწმუნებული, რომ მან შესანიშნავად იცის — **ღარიბაშვილი იმავე ძალამ გადააყენა და კვირიკაშვილიც იმავე ძალამ მოიყვანა (ივანიშვილის პოლიტიკაში შემოყვანაზე რომ აღარაფერი ვთქვათ), რომელმაც ის თავდაცვის მინისტრად დასვა...**

**იაკობ ლეჟავა,**
9 იანვარი, 2016

---

**◎ ინფორმაცია**

## დამშვიდდით, ევროპელებო და... „რუსთავიორელებო“!..

**საპარლამენტო უმრავლესობის წევრი მანანა კობახიძე აცხადებს, რომ სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ის მაუწყებლობას არავითარი საფრთხე არ ემუქრება. იგი ტელეკომპანიის საქმესთან დაკავშირებით ევროსაბჭოს კომისიის დასკვნას გამოეხმაურა. კერძოდ, ევროსაბჭოს კომისია საქართველოს ხელისუფლებას სასამართლო სისტემის გაუმჯობესებისკენ მოუწოდებს. ანგარიშში მოხვდა „რუსთავი-2“-ის საქმეზე დაწყებული სასამართლო პროცესიც, რომელსაც კრიტიკული შენიშვნები მოჰყვა. მანანა კობახიძის თქმით, „რუსთავი-2“ ჩვეულ რეჟიმში მაუწყებლობს.**

**„რუსთავი-2“-ის საქმე ყურადღების საგანი იყო და ეს ბუნებრივი იყო, მაგრამ მნიშვნელოვანია, როგორ ხდება მოვლენების განვითარება. თუ ჩვენს პარტნიორებს თავიდან რაიმე კითხვის ნიშანი ჰქონდათ, ესეც ბუნებრივი და ლოგიკური იყო. ეს საკითხი დღეს ამოწურულია, იქიდან გამომდინარე, რომ რუსთავი-2-ის მაუწყებლობას, სამაუწყებლო კომპანიაში მართვის პროცესს ამჟამად არავითარი საფრთხე არ ემუქრება. ტელეკომპანია ჩვეულებრივ რეჟიმში მაუწყებლობს“, — განაცხადა მანანა კობახიძემ.**

ХО-ЭОВ-ЭНО

◎ მწერლის დაკვირვებული თვალი




# ნათლად და გასაგებად კი არა, ბუნდოვნად და გაუგებრად!..

## შეცდომები საქართველოს კონსტიტუციაში და მექოთნე მოსამართლეები

### წიგნიდან „წერილები მაგნოლიების ქალაქიდან“

**კონსტიტუცია** ლათინური (constitutio) სიტყვაა და პირდაპირი მნიშვნელობით **„დადგენას“** ნიშნავს. იგი არის სახელმწიფოს ძირითადი კანონი, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოებრივსა და სახელმწიფო წყობილებას, საარჩევნო სისტემას, სახელმწიფო ორგანოების შექმნისა და მოქმედების პრინციპებს, მოქალაქეთა ძირითად უფლება-მოვალეობას. იგი საკაცობრიო მონაპოვარია და მის მნიშვნელობაზე საუბარი უადგილოდ მეჩვენება.

ჩემს ხელთ არის „ბონა კაუზას“ გამოცემული „საქართველოს კონსტიტუცია“, 2015 წლის 20 იანვრის მდგომარეობით, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი საუკეთესო და სრულყოფილი უნდა იყოს აქამდე არსებულ ყველა კონსტიტუციასთან შედარებით.

გამომცემლობის მიერ შედგენილი ანოტაცია გვაუწყებს, რომ „საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ 2015 წლის 24 აგვისტოს იქნა მიღებული, ქართული სახელმწიფოებრიობის მდიდარი ისტორიული ტრადიციების საფუძველზე შეიქმნა და მას ბევრი ისეთი ნიშან-თვისება ახასიათებს, რომლებითაც იგი არ ჩამოუვარდება თანამედროვე მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის საუკეთესო ნიმუშებს.“

მე ციტატის ავტორებს ბოდიშის მოხდით მივუთითებ, რომ ეს ასე არ არის, რაც ძალიან სამწუხაროა. თანამედროვე მსოფლიოს კონსტიტუციების საუკეთესო ნიმუშებს არ ჩამოუვარდება კი არა, სათოფეზეც ვერ მიეკარება. ამისი აღიარება ძალიან მძიმეა, მაგრამ აუცილებელი.

ჯერ ერთი, კონსტიტუცია უნდა იყოს დაწერილი უზადო ქართულით. სამწუხაროდ, უზადო კი არა, გადატვირთულია უცხო სიტყვებით და როგორც გაუმარგლავ და გაუთოხნავ ყანას შორიდანაც კი შეატყობ, რომ მას თოხიანი კაცი არ შეხებია, ასევე ჩვენს კონსტიტუციას შეუიარაღებელი თვალითაც კი შეამჩნევ, რომ იგი სახელმწიფო ენის სრულყოფილად მცოდნე სტილისტს არ წაუკითხავს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ აშშ-ის კონსტიტუციამ, რომელიც ქართულ თარგმანში უკეთესად იკითხება, ვიდრე ქართულად დაწერილი ჩვენი უპირველესი კანონი, ორასი წლის მანძილზე 14 შესწორება განიცადა. ახლა ვნახოთ, რა ხდება ჩვენთან: 1999 წლიდან 2015 წლამდე საქართველოს კონსტიტუციაში 31 ცვლილება შევიდა, მ. შ. 22 სააკაშვილის ავადსახსენებელი რეჟიმის დროს. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენი ქვეყნის მთავარ კანონს მსოფლიოს საუკეთესო კანონებთან, ანუ კონსტიტუციებთან, არავინ მიასუნინებს. ამისი მიზეზები ძალიან ბევრია და საუბარი შორს წაგვიყვანს. უპირველესად კი ჩვენს გამრუდებულ საარჩევნო სისტემას მივადგებით, რომლითაც ვლებულობთ ისეთ პარლამენტს, რომელიც ქართველი ხალხის მაღალ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს არ შეესაბამება. პარლამენტში არ უნდა იჯდეს წერა-კითხვის უცოდინარი დეპუტატი. შორს რომ არ წავიდე, დღევანდელ ჩვენს პარლამენტში, აჭარიდან არჩეული 6 დეპუტატიდან, არც ერთს არ შეუძლია კანონშემოქმედებითი მუშაობა. სამწუხაროდ, ისინი გამონაკლისი არ არიან. ეს მთლიანად მარტო მათი პრობლემა არ არის. მათი-მეთქი, იმიტომ რომ თუ ცურვა არ იცი, მორევში არ უნდა შეხვიდე. მთავარი პრობლემა კი საარჩევნო სისტემასა და ამომრჩევლებშია. არაერთ ქვეყანაში ცესკო დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში არ გაატარებს, თუ სუბიექტმა წინასწარ სახელმწიფო ენაში გასაუბრება არ გაიარა. ეს წესი ჩვენთან უგულებელყოფილია. ჩვენს პარლამენტში ერთი -ორი ლინგვისტი რომ გვყავდეს, კონსტიტუციაში, მსუბუქად ვიტყვი, ისეთი ლაფსუსები არ გვექნებოდა, რაზედაც ქვევით ვისაუბრებთ. მართალია, ჩვენი პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი უკმაყოფილოა პარლამენტში მსახიობებისა თუ ჰუმანიტარების ყოფნით და უპირატესობას იურისტებს ანიჭებს. მე არა მგონია, იურისტი თინა ხიდაშელი მსახიობ გოგი ქავთარაძესა და მათემატიკოს ვანო კიღურაძეზე უკეთესი დეპუტატი ყოფილიყო, ან რით ჯობია იურისტი პოლიტიკოსი დავით უსუფაშვილი მსახიობ პოლიტიკოსს რონალდ რეიგანს?! პროფესია და პროფესიონალიზმი ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს. მართალია, დეპუტატი პოლიტიკოსის სტატუსსაც მოიცავს, მაგრამ ჩვენში ისე შორს არიან პოლიტიკოსობისაგან, როგორც ცა და მიწა. ახლა ყოფილმა სკკპ ისტორიის დიპლომიანმა სპეციალისტებმა პოლიტილოგობა დაიბრალეს. არჩევნების გაყალბება უმძიმესი დანაშაულია ქვეყნის წინაშე. ამ 25 წლის მანძილზე კატასტროფული გაყალბების მოწმენი ვართ, მაგრამ ამის გამო დასჯილი ერთი კაციც კი არ მინახავს. ბათუმის ერთმა ყოფილმა უწიგნურმა მერმა თანამშრომლის განცხადებას, რომელიც შვებულებას ითხოვდა, დაანერა – „წადი.“ იგი საქართველოს პარლამენტის წევრი გახდა! თავად აღიარა „რუსთაველი-2“-ის ეთერში, პარლამენტში „მეშოკივით“ ვეგდეო. ეს იყო 1999 წელს. მაშინ მეც ვიყავი დეპუტატობის კანდიდატი მოქკავშირისა და აღორძინების წინააღმდეგ. უბანში დღის ბოლოს, 18 საათზე მივედი ხმის მისაცემად. ჩემი ბიულეტენი ჩაგდებული, ხოლო სარეგისტრაციო ჟურნალში ჩემ მაგიერ ხელმოწერა დამხვდა. როცა ხმაური ავტეხე, დამკვირვებლები უმალ აორთქლდნენ. ცესკოდან მიპასუხეს (ჯ. ლომინაძე ), აჭარა არ გვაინტერესებსო. მსგავსი დარღვევები ნაცების რეჟიმის დროს კვადრატში აიყვანეს. სად ვიჩივლო, რუსთაველი მკვდარია. ზოგს ჰიპერბოლაში წარმოუდგენია ნაცებისა და რესპუბლიკელების ინტელექტი. ევროპასთან კარგად ლაპარაკობენო. ნამდვილად არ ვიცი, როგორ საუბრობენ ისინი მაკ კეინთან და სოროსთან, ევროპის სახალხო პარტიელებთან, მაგრამ ქართველ ხალხთან რომ არ შეუძლიათ ლაპარაკი, დღესავით ნათელია. მსოფლიომ გაიგონა, როგორ დაელაპარაკა ამერიკელებს ჩვენი თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი, როცა ლენინგრადის ბლოკადას შეეხო. რუსთაველმა ბრძანა, რაც კოკაში დგას, იგივე წარმოდინდება.

ახლა ვნახოთ ჩვენი სამშობლოს მთავარ კანონში დაშვებული ზოგიერთი შეცდომა.

ზოგადი დებულებების მეორე მუხლის მე-3 პუნქტში წერია: **„საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრული აღდგენის შემდეგ“.** სასვენ ნიშნებზე აღარაფერს ვიტყვი.

გამოდის, რომ დღეს საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა განუსაზღვრელია. გარდა ამისა, ნაცვლად **„ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე“,** უნდა ეწეროს **„აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში,“** რადგან საქართველოს მთელს ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქცია დარღვეული არ არის. ეს მხოლოდ ტერიტორიის ნაწილშია. მე მესმის ავტორები რასაც გულისხმობენ, მაგრამ კონსტიტუციაში საგულისხმო და სამარჩიელო აზრი არ უნდა ჩაიდოს.

ზოგადი დებულებების 1 მუხლის მეორე პუნქტში ვკითხულობთ: **„საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა ამის დემოკრატიული რესპუბლიკა“.** აქ ზედმეტია სიტყვა **„ფორმა“**, რადგან დემოკრატიული რესპუბლიკა პოლიტიკური წყობილებაა და არა – **„ფორმა“**. თანაც დემოკრატიული რესპუბლიკა უნდა იყოს ბრჭყალებში.

მეორე მუხლის მეორე პუნქტში წერია: **„საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული გასხვისება აკრძალულია“.** თუ ეს ასეა, მაშინ რატომ სხვისდება უცხოელებზე ჰექტრობით (მიწები) ტერიტორიები? ეწინააღმდეგება თუ არა კონსტიტუციის ამ მუხლს ის კანონი, რომლითაც ხდება ჰექტარობით ტერიტორიების გასხვისება?

მე-5 მუხლის 1 პუნქტში წერია: „სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში“. აქ სიტყვა **„ფარგლებში“** უადგილოა. უნდა იყოს **„კონსტიტუციით დადგენილ ნორმებში“**.

იმავე მუხლის მე-2 პუნქტში წერია: **„ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით“.** არაა სადავო, რომ ეს პუნქტი ბუნდოვანია. გაუგებარია, რა იგულისხმება **„უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებში“.** რას ნიშნავს **„თავისი წარმომადგენლების მეშვეობით“.** დაფარულია ვინ და სად არიან **„თავისი წარმომადგენლები“.** უკომენტაროდ ვიტყვი, რომ დასახვეწია იმავე მუსლის მე-3 პუნქტი.

მე-4 პუნქტი გვეუბნება, რომ **„სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით“. უნდა იყოს – „ხელისუფლების დანაწილების პრინციპით“.**

მე-7 მუხლში უფრო რთულადაა საქმე: **„სახელმწიფო ცნობს და იცავს (უნდა იყოს „სცნობს“, – შ.ზ.) ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულნი არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალით“.** ამ მუხლში სიტყვა **„წარუვალის“** ნაცვლად უნდა იყოს **„მარადიული“.** ფრაზა **„ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან“** არ გამოხატავს იმას, რისი თქმაც სურთ კანონის ავტორებს. ადამიანი თუ სახელმწიფო იზღუდება არა **„უფლებებითა და თავისუფლებებით“,** არა **„მოქმედი სამართლით“,** არამედ უუფლებობითა და, ცხადია, – უსამართლობით. ამ მუხლს სხვანაირი ფორმულირება სჭირდება, გასაგები და უზენაესი ქართულით.

დასასვეწია მე-8 მუხლიც: **„საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – აფხაზური“.** აქ ზედმეტია სიტყვა **„ხოლო,“**. უნდა იყოს – **„აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – აფხაზური და ქართული“.**

კონსტიტუციის ცალკეული მუხლების ანალიზმა დამარწმუნა, რომ ბევრი მათგანი პარლამენტში კანონშემოქმედებითი მუშაობის ნაყოფი არ არის. აშკარაა უცხოური კონსტიტუციებიდან მექანიკურად გადმოღებული ტერმინები და ცუდად თარგმნილი ფრაზები, რომლებიც მშობლიური ქართულის მართლწერისა და მეტყველებისათვის მიუღებელია. განვიხილოთ მეორე თავის მე-12 მუხლის 1 პუნქტი. თეთრზე შავით წერია, რომ **„საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება დაბადებით და ნატურალიზაციით“.** ამ, ერთი შეხედვით, სტილისტურად გამართულ წინადადებაში, მეუხერხულება სიტყვა **„მოპოვება“.** ჩემი ფიქრით, უნდა იყოს **„მოქალაქეობა დგინდება დაბადებით, რაც აისახება მეტრიკულ ჩანაწერებში“,** ხოლო სიტყვა **„ნატურალიზაციით“** ჩემთვის სავსებით მიუღებელია. უცხო სიტყვათა ლექსიკონში თუ არ ჩაიხედა, ამ სიტყვის ავტორების მიერ ჩაფიქრებულ მნიშვნელობას ვერ გაიგებს 1000 კაციდან 95 პროცენტი. ნეტარხსენებული **მიხეილ ჭაბაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონში“** დაფიქსირებული სიტყვა „ნატურალიზაცია“ ლათინურია (naturalia), ქართულად „ბუნებრივს“ ნიშნავს და მოსდევს შემდეგი განმარტება – **„სახელმწიფოს მიერ უცხოელის მიღება მოქალაქედ, ქვეშევრდომად, – სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის მიღება“.** ჩემთვის უცნობია ამ განმარტების მისაღებად რა წყაროს ეყრდნობა ლექსიკონის შემდგენელი. როგორი წყაროც არ უნდა იყოს, ამ სიტყვის ჩვენს კონსტიტუციაში ასე გადმოტანა, უმართებულოდ მეჩვენება. ვფიქრობ, აქ საჭირო იყო იმ საკანონმდებლო აქტის მითითება, რომლითაც უცხოელს ენიჭება საქართველოს მოქალაქეობა. **„მოქალაქეობის მოპოვება დაბადებით და ნატურალიზაციით“** აბსტრაქტულადაც კი მოჩანს. გარდა იმისა, რომ მყვირალა უცხო სიტყვა, რა მნიშვნელობისაც არ უნდა იყოს იგი, ქართული მეტყველებისა და მართლწერისათვის შეუფერებალია. ჩვენი პარლამენტარების მეტყველების კულტურა რომ ქართული ენის ნორმების ჩარჩოში არ თავსდება, არახალია. მართლწერის კულტურაზე კი ლაპარაკიც ზედმეტია. ჩვენ გამოკვლევებული პარლამენტარები ვართო, იტყვის ერთი ქალბატონი, ხოლო მეორე ურცხვად გაჰკივის, ზეწოლას განვიცდითო. ზეწოლა რომ უწმაწური გამოთქმაა, არ ახსოვს.

ჩემთვის ახლაც გამოცანაა, რომელ ჭკუის კოლოფს მოუვიდა კონსტიტუციის ის მუხლი, რომელიც არ მოქმედებს და არც არავინ იცის, როდის ამოქმედდება და, საერთოდ, თუ ამოქმედდება?! მე-4 მუხლის 1, 2 და 3 პუნქტებში ვკითხულობთ:

**1. საქართველოს მთელს ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირების შემდეგ საქართველოს პარლამენტის შემადგენლობაში იქნება ორი პალატა: რესპუბლიკის საბჭო და სენატი.**

**2. რესპუბლიკური (აქაც უნდა იყოს „რესპუბლიკის“, – შ.ზ.) საბჭო შედგება პროპორციული წესით არჩეული წევრებისაგან.**

**3. სენატი შედგება აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და საქართველოს სხვა ტერიტორიულ ერთეულებში არჩეული წევრებისა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული 5 წევრისაგან.**

ეგ არი და გორის ციხე!

კომენტირებაც კი მიჭირს. პირველი პუნქტის ტექსტში **„შესაბამისი პირობების შექმნაში“** აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნება იგულისხმება. ვის აქ რაიმე საწინააღმდეგო, მაგრამ როდის? ბუნდოვანი და გაუგებარია, რას ნიშნავს **„და საქართველოს სხვა ტერიტორიულ ერთეულებში.“** ტერიტორიული ერთეულია გვიშტიბიც და თბილისიც, კოდორიც და ფოთიც. სხვათა შორის, საკოვის რეჟიმამდე აჭარაში ორპალატიანი უზენაესი საბჭო იყო, რომელიც ერთი ხელის დაკვრით, უკანონოდ დაითხოვეს. გამოშიგნეს და პოლიტიკური ნიშნით ფარატინა ქაღალდად აქციეს ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია! თუ რეგიონების გუბერნატორებს ორი, ზოგს – სამი მოადგილე ჰყავს, აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს კი არც ერთი. არაერთხელ მითქვამს, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას ერთი ადგილი ეკუთვნის საქართველოს მთავრობაში. ბატონ დავით უსუფაშვილს პირდადაც ვუთხარი და ღია წერილითაც ვაუწყე, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ავტომატურად შეეყვანათ საქართველოს მთავრობის შემადგენლობაში. რაც არ დაგიკარგავს. რას იპოვი?!

ახლა ბევრს საუბრობენ მაჟორიტარული სისტემის გაუქმებაზე. მე კი მიმაჩნია, რომ პროპორციული სისტემაა გასაუქმებელი, რომელიც პარლამენტში გზას უხსნის პოლიტიკურ შარლატანებსა და წერა-კითხვის უცოდინარებს. ღმერთმა დაგვიფაროს ამ ყველაფრისგან.

**როგორც ნახე, პატივცემულო მკითხველო, მე ძირითადად ყურადღება გავამახვილე კონსტიტუციის ზოგად დებულებებზე. დანარჩენი 8 თავის, კონსტიტუციური და ორგანული კანონების შესახებ, რომლებშიც აჯაფსანდალია (ამიტომაც გამოაქვთ რიგ მოსამართლეებს განაჩენი მექოთნის პრინციპით), ჩემზე გაცილებით უფრო კომპეტენტურმა ადამიანებმა ისაუბრონ.**

**ნაპოლეონი კანონმდებლებს ავალებდა, წერეთ ბუნდოვნად და გაუგებრადო. როგორც ჩანს, ჩვენს პარლამენტშიც ამ პრინციპით მოღვაწეობენ.**

**შოთა ზოიძე,**
ბათუმი

# ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ ᲬᲔᲡ-ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ

**ᲘᲛᲘᲡ მიუხედავად, რომ ახალი, 2016 წელი ოფიციალურად უკვე ორი კვირაა რაც ძალაში შევიდა, საქართველოში (ასევე რუსეთშიც, საბერძნეთშიც, სერბეთშიც, ზოგიერთ სხვა ქვეყანაშიც) „ძველით“ ახალი წლის აღნიშვნის მშვენიერი, ულამაზესი ტრადიცია არსებობს და ბევრი მას უფრო დიდი ზეიმით ხვდება. ამრიგად, შეიძლება იმის თქმა, რომ ახალი წლის დღესასწაულის აღნიშვნის ერთ-ერთი მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ეს არის. თუმცა კი, ამ არაჩვეულებრივ დღესასწაულს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ასევე უამრავი განსხვავებული ნიშანი აქვს, რომელთა შესახებაც დღეს მოგითხრობთ.**

## ᲡᲘᲑᲜᲔᲚᲔᲨᲘ ᲙᲝᲪᲜᲐ

**ბულგარეთში საახალწლოდ ახალ სამოსელს იცვამენ. სუფრაზე მთლიან პურს დებენ, მერე დამსწრეთა ოდენობის შესაბამის ნაჭრებად ჭრიან და ვისაც შიგ ჩადებული მონეტა შეხვდება, იმისთვის დამდეგი წელი იღბლიანი იქნება.** ახალი წლის ღამეს ბავშვები შინდის ჯოხებს თლიან, მათ წითელი ძაფებით, ნიგვზით, შავქლიავათი, ნივრით რთავენ და ახლობელ-ნათესავებს ზურგზე ურტყამენ ბედნიერების, ჯანმრთელობისა და კეთილი ბედის სურვილებით. ქალიშვილები ამ დროს მარჩიელობენ და საქორწინო ბეჭდებს წითელი ძაფებით ბუჩქებს აბამენ. ჩვენებური ჭიქების მიჭახუნების მაგივრად ბულგარელები ერთმანეთს ბეჭდებს უკაკუნებენ.

## ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ ᲥᲠᲘᲡᲢᲙᲘᲜᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ

**გერმანიაში შობა და ახალი წელი საოჯახო დღესასწაულებია. სადღესასწაულო საჩუქრები ვაჰტსმანს (აღდგომის კაცს) მოაქვს შობის წინა ღამე მოალერსე და სათნო ქრისტკინდთან ერთად.** ვაიჰტსმანს ხელში ცელქი ბავშვების გასაწკეპლი როზგები უკავია, მაგრამ საჩუქრებიანი ტომარაც აქვს წამოღებული. ქრისტკინდი კი ვაშლით, ნიგვზითა და ტკბილეულით სავსე კალათით ხელდამშვენებული მიდის. საჩუქრების მისაღებად ბავშვებმა მას ლექსი უნდა წაუკითხონ, ან სიმღერა უმღერონ. სანტა-კლაუსის მარხილში ვირია შებმული, ამიტომ ბევრ ოჯახში საჩუქრებისთვის განკუთვნილი ლანგრის გვერდით მისთვის თივას დებენ.

ყველაზე გამორჩეული ტრადიცია ასეთია: თორმეტი საათის აღნიშვნის პირველსავე ჩამოკვრაზე გერმანელები სკამებზე, სავარძლებზე, მაგიდებზე ადიან, ბოლო, მეთორმეტე დარტყმასთან ერთად კი მხიარული შეძახილებით პირდაპირ ახალ წელში „ხტებიან“!

## ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲥᲕᲔᲑᲘ ᲛᲐᲡᲠᲘᲜᲯᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

**საბერძნეთში ახალ წელს წმინდა ვასილის დღეს უწოდებენ. ღამით სახლის კართან ბერძნები ფეხსაცმელს ტოვებენ, რომელსაც წმინდა ვასილი საჩუქრებითა და ტკბილეულით ავსებს.** სტუმრად მიმავალნი კი ისინი გზად დიდ ქვას ეძებენ (ანდა წინდაწინვე სახლიდან მოაქვთ), რომელსაც მასპინძლის სახლის ზღურბლზე აგდებენ სიტყვებით: „დაე, მასპინძლის სიმდიდრე ამ ლოდივით მძიმე იყოს“. ხოლო თუკი სტუმრებმა დიდი ქვის მოძებნა ვერ შეძლეს და მხოლოდ პატარები ნახეს, მაშინ იმ პატარას იღებენ, რომელსაც ასევე მასპინძლის ზღურბლზე აგდებენ, ოღონდ ამ ჯერზე უკვე სხვა სიტყვებს ამბობენ: „დაე, პატრონის თვალზე ლიბრი ამ კენჭივით პატარა იყოს“. საჩუქრად კი რჩეული ღვინითა და ახალი ბანქოს დასტებით სავსე კალათების მირთმევაა მიღებული.

ახალ წელს ბერძნები განსაკუთრებით ცრუმორწმუნეები არიან – ამ დროს აკრძალულია ყვირილი, ყავის დაფქვა ან დალევა, საცხოვრისში შავი ძაღლის შეშვება. ცუდი ნიშანია ჭურჭლის დამტვრევა. ყველა ოჯახის უფროსმა ბროწეულის ნაყოფი სახლის კედელს უნდა შეანარცხოს – მისი მარცვლების გაპნევა ბერძნებისთვის ბედნიერებისა და წარმატების სიმბოლოა.

## ᲔᲠᲗᲙᲕᲘᲠᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲘ

**დანიაში ახალ წელს ყველანი სახალიხო ქუდებს იხურავენ, სუფრებს ბუშტებითა და რქებით, სახლებს კი გულებითა და ციკნებით რთავენ.** 31 დეკემბერს საღამოს 6 საათზე დანიელებს ახალ წელს დედოფალი ულოცავს. შუაღამისას დანიის ტელევიზიით კოპენჰაგენის რატუშის საათს აჩვენებენ, ხალხი შამპანურს მიირთმევს და კრანსკეიგად წოდებულ რამდენიმე ფენიან ნამცხვარს აგემოვნებს.

ყველაზე კაშკაშა ტრადიცია კი სანთლის დანთებაა, რასაც დანიელები შობამდე ერთი კვირით ადრე აკეთებენ. სანთელზე დანით ექვს ნიშანს უკეთებენ და ყოველ დღეს მომდევნო დღის ნიშნულამდე დაწვამდე ანთებენ. ასე რომ, შობის დადგომამდე მთელი სანთელი ბოლომდე იწვება.

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲔᲚᲘ... ᲧᲣᲠᲫᲜᲘᲡ ᲭᲐᲛᲘᲗ

**ესპანეთში საახალწლოდ, ჩვეულებრივ, 18-20 გრადუსი სითბოა! ამიტომაც, ევროპაში ყველაზე მხიარული საახალწლო დღესასწაული აქ იმართება ხოლმე. მისი ზეიმი 28 დეკემბერს – ჩვენებური 1 აპრილის მსგავს სულელთა დღეს იწყება.** ახალი წლის ღამეს ესპანელები სადღესასწაულო სუფრას დიდხანს არ უსხედან – ქუჩებში მათ ფეიერვერკები, სახალისო მსვლელობები, კარნავალები, ცეკვა-სიმღერა და ზღვა შამპანური ელით!

ყველაზე გამორჩეული ესპანური საახალწლო ტრადიცია კი საათის უკანასკნელ, მეთორმეტე ჩამორეკვამდე, ყურძნის წლის 12 თვის ოდენობის მიხედვით! – მარცვლის შეჭმა, დანარჩენების კი აქეთ-იქით მიმოპნევაა! მაშინ კი ყველა კეთილი ჩანაფიქრი აღსრულდება!

## ᲗᲔᲗᲠ-ᲬᲘᲗᲔᲚᲖᲝᲚᲘᲐᲜᲘ ᲮᲔᲚᲯᲝᲮᲘᲗ

**ამერიკის შეერთებულ შტატებში წინასაახალწლო სეზონი მადლიერების დღის დასრულებისთანავე იწყება.** მთელი ქვეყანა სადღესასწაულო დეკორაციებით, საახალწლო განათებით ირთვება, ყველგან საქონლის შეღავათიანი გაყიდვებია და მხიარული მუსიკა უკრავს, სახლები კი ნაირ-ნაირი გირლანდებითაა მორთული და ზღაპრულ ციხე-დარბაზებს ჰგავს. შობის წინ შესასვლელ კართან საჩუქრებისთვის უზარმაზარ ხასხასა ფერის წინდას ჰკიდებენ. ნაძვი ან რომელიმე სხვა სააღდგომო ხე საახალწლო დღესასწაულის აუცილებელი ატრიბუტია. მას წვერზე ვარსკვლავს ან ანგელოზს ამაგრებენ, ზედ უამრავ გირლანდას ჰკიდებენ.

ამერიკელების საახალწლო სუფრა ტრადიციულად მდიდრული და ბარაქიანია – სტუმრებს შემწვარ ინდაურს, კარტოფილს, ნაირ-ნაირ სალათებს, ლორს, თევზეულს მიართმევენ, ჩაროზად კი ხელჯოხის ფორმის თეთრ-წითელ ზოლებად შეფერილ შაქარყინულებს სთავაზობენ. თეთრი ზოლები სიწმინდის ნიშანია, წითელი კი – მაცხოვრის სისხლისა.

## „ᲙᲐᲠᲝᲓᲐᲜᲝᲡ“ ᲜᲔᲐᲠᲝᲚᲣᲠᲘ ᲤᲔᲘᲔᲠᲕᲔᲠᲙᲘ

**იტალიაში კი ახალ წელს არა პირველ, არამედ... 6 იანვარს აღნიშნავენ. ახალი წლის იტალიური სახელწოდება – Capodanno – სიტყვა-სიტყვით „წლის თავს“ ნიშნავს. გადმოცემით, დღესასწაულის დადგომამდე საგველზე შემჯდარი კეთილი ფერია ბენაფა მოფრინდება ხოლმე და ბუხართან დაკიდებულ გონიერი ბავშვების წინდებს უამრავი საჩუქრით ავსებს.** ცელქი და დაუჯერებელი ბავშვების წინდებში კი ნაკვერჩხალს ან მწიკვ ნაცარს დებს. ამიტომაცაა, რომ იტალიაში მეტად პოპულარულია ნაკვერჩხლის ფორმის კანფეტები.

ყველაზე გამორჩეული საახალწლო ტრადიცია კი იტალიაში სახლიდან ყველა ძველმანის ფანჯრიდან გადაგდებაა, თუმცა, ტრავმების მიყენების საშიშროების გამო, ბოლო ხანებში მასზე თანდათანობით უარის თქმა დაიწყეს. ახლა კი, იღბლის მოსაზიდად, საახალწლოდ აუცილებელია წითელი საცვლების ჩაცმა, თანაც როგორც ქალებისთვის, ასევე მამაკაცებისთვის.

იტალიური ცრურწმენით, საჭიროა, არა მარტო ახალი წლის კარგი შეხვედრა, არამედ მისი პირველი დღის კარგად გატარებაც, რადგან მიჩნეულია, რომ როგორიც იყო 1 იანვარი, მთელი წელიც ისეთივე იქნება. ამიტომაცაა, რომ ახალი წლის პირველ დღეს არც ერთი იტალიელი არც მძიმე ან უსიამო სამუშაოს ხელს არ მოკიდებს, არც ვალების გასტუმრებას დაიწყებს.

## ᲭᲐᲜᲠᲘᲡ ᲥᲔᲠᲪᲚᲘ... ᲡᲐᲤᲣᲚᲔᲨᲘ

**პოლონეთში ახალ წელს წმინდა სილვესტრის დღეს უწოდებენ. საშობაო და საახალწლო დღესასწაულების პერიოდში 24 დეკემბრამდე ერთი თვით ადრე იწყება და 6 იანვრამდე გრძელდება.** პოლონელ თოვლის პაპას წმინდა ნიკოლოზი ჰქვია, რომელიც ბავშვებთან 6 იანვარს მიდის და საჩუქრებს ბალიშის ქვეშ ან ფანჯრის რაფაზე უტოვებს. წმინდა ნიკოლოზს ჰყავს ქალიშვილი ფიფქია, თუმცა კი, საახალწლო მოგზაურობაში მამას არ დაყვება ხოლმე. ლეგენდით, იგი სახლში რჩება და დედამიწისთვის თოვლის საფარს ქსოვს.

გამორჩეული პოლონური ტრადიცია საახალწლოდ შეჭმული ჭანრის ქერცლის ოჯახის უფროსის საფულეში მოთავსება – იქაური ცრურწმენით მომავალში ისინი მონეტებად გადაიქცევიან.

## „ᲬᲘᲬᲐᲙᲘᲐᲜᲘ“ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲔᲚᲘ

**რუმინეთში ყველა საახალწლო ტრადიცია ჯადოსნობასა და მარჩიელობას უკავშირდება. ახალი წლის ღამეს გაუთხოვარი ქალები და ქალიშვილები ანთებული სანთლებით ჭებთან მიდიან და ქვევით იყურებიან.** ცრურწმენით, ჭის წყალში მომავალი ქმრის სახე უნდა იხილონ. გარდა ამისა, საქმროს ნახვა ძილშიც შეიძლება, თუკი თავქვეშ მუხის ტოტს ამოიდებენ.

საახალწლო სუფრის საჭმელებში მიღებულია სხვადასხვა საგნების ჩადება. თანაც ისინი, ხშირად, მონეტების გარდა, ბეჭდები, რგოლები, ფაიფურის ფიგურები და... ცხარე წიწაკებიც კია, რაც მისთვის, ვისაც შეხვდება „სასიამოვნო“ მოულოდნელობაა ხოლმე.

## ᲡᲐᲜᲢᲐ-ᲚᲐᲣᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ

**ფინეთში ახალი წელი ის დღესასწაულია, რომელშიც რეალობა განუყრელადაა დაკავშირებული მითებთან და ზღაპრებთან – ჭეშმარიტი სანტა-კლაუსი ხომ იქაურ ლაპლანდიის მხარეშე ცხოვრობს! ამ მხრივ, ფინელებს სხვებზე მეტად გაუმართლათ – მათ ხომ უშუალოდ შეუძლიათ ჩრდილოეთ პოლარულ წრესთან ახლოს მის ქოხში სტუმრობა.**

ახალ წელს ფინელები მხიარულად, მეგობრებთან ერთად რესტორნებში ხვდებიან, რათა ახლობლებს სადღესასწაულოდ შინ ზედმეტი საქმე არ გაუჩინონ. ჰელსინკში ფასები საკმაოდ ზომიერია, მსურველებს ჩრდილოეთისთვის ეგზოტიკური იტალიური, ესპანური, ჩინური, ვიეტნამური, იაპონური, მექსიკური და სხვა ქვეყნების სამზარეულოების კერძების დაგემოვნება შეუძლიათ. ტრადიციისამებრ, ქუჩებსა და მოედნებზე სახალხო სეირნობები და ფეიერვერკები იმართება. ახალი წლის ღამეს ფინელები გამლღვალ კალაზე მარჩიელობენ: რაც გამოისახება, კაციც იმას უნდა ელოდოს.

## ... ᲓᲐ ᲛᲝᲘᲡᲠᲝᲚᲔᲗ ᲬᲧᲚᲘᲐᲜᲘ ᲭᲘᲭᲐ!

**ეკვადორში საახალწლოდ წითელ და ყვითელ საცვლებს იცვამენ. წითელი სიყვარულის ფერია, ყვითელი – ფულის ტრფობის. ზუსტად შუაღამეს ქალები თოჯინების დაწვას იწყებენ, რომლებსაც „ქვრივის ტირილს“ ეძახიან – ამით ისინი თავიანთ „ცუდ ქმრებს“ გლოვობენ. როგორც წესი, „ქვრივებს“ ქალის სამოსელში გადაცმული პარიკიანი და მაკიაჟიანი მამაკაცები ასახიერებენ.**

განა არის ვინმე, ვისაც დამდეგ წელს დი-

# სამყაროში

დი სიყვარულის მოსვლა ანდა გამდიდრება არ სურდეს? საიმისოდ კი, რომ ახალ წელს ფული „ჩეჩქად იყოს“, როგორც საათი 12-ს ჩამორეკავს, საჭიროა ყვითელი საცვლების ჩაცმა. ხოლო თუკი ვინმეს ფული საკმარისად აქვს და მხოლოდ სიყვარული აკლია, მაშინ საცვლები წითელი ფერისა უნდა იყოს. მიმავალი წლის ყველა სევდის თავიდან მოცილების საუკეთესო ხერხად ეკვადორში ქუჩაში წყლით სავსე ჭიქის გადადგმას მიიჩნევენ, რომელთან ერთად ყველაფერი ცუდიც დაიმსხვრევა.

## ლუჩიას დღესასწაული

**შვედეთში კი ახალი წელი – ესაა სინათლის დღესასწაული. ახალი წლის დადგომამდე ბავშვები სინათლის დედოფალს ლუჩიას ირჩევენ – მას თეთრ კაბას აცმევენ, თავზე ანთებულ სანთლებიან გვირგვინს ადგამენ.** ლუჩიას ბავშვებისთვის საჩუქრები, ცხოველებისთვის კი ნუგბარი მოაქვს: კატისთვის – ნაღები, ძაღლისთვის – ძვალი, ვირისთვის – სტაფილო, მაიმუნისთვის – ბანანი. სადღესასწაულოდ ყველა ქუჩა გაჩახჩახებულია, შუქი სახლებშიც ანთია.

## ჰოგმანის მოხარშული ბატი

**შოტლანდიაში ახალი წლის დღესასწაულს „ჰოგმანს“ უწოდებენ და მას ქუჩებში დიდი პოეტის რობერტ ბერნსის სიტყვებზე შექმნილი სიმღერით ხვდებიან. ტრადიციისამებრ ახალი წლის ღამეს ბავშვები ცეცხლმოკიდებულ კასრებს ქუჩებში დაგორებენ, რითაც ძველ წელს წვავენ და ახალს ეპატიჟებიან. შოტლანდიელებს, ისევე, როგორც ქართველებს, მიაჩნიათ, რომ სწორედ მეკვლის ფეხზეა დამოკიდებული, თუ როგორი იქნება დამდეგი წელი – იღბლიანი თუ უიღბლო. მათი აზრით, იღბალი შავთმიან მამაკაცს მოაქვს, რომელსაც ოჯახში საჩუქრები შემოაქვს. ამ ტრადიციას „ფერსტ ფუთინგი“ ჰქვია.**

საახალწლოდ განსაკუთრებულ ტრადიციულ კერძებს ამზადებენ: საუზმისთვის, ჩვეულებრივ, შვრიის მჭადსა და პუდინგს აცხობენ, რასაც ყველ კებენს აყოლებენ, სადილად მოხარშული ბატი ან ბიფშტექსია, ჩაროზად კი ნამცხვარი ან ცომში შემწვარი ვაშლი.

ყველაზე გამორჩეული საახალწლო ტრადიცია კი ისაა, რომ ყველა სტუმარმა აუცილებლად უნდა მოიტანოს ქვანახშირის ნატეხი და ბუხარში შეუკეთოს. ზუსტად შუღამეს სახლის შესასვლელ კარს ბოლომდე აღებენ – ამით ძველ წელს ისტუმრებენ და ახალს უშვებენ.

## თოჯინების დამშვიდობება

**კოლუმბიაში საახალწლო კარნავალის მთავარი მოქმედი გმირია ძველი წელი. ოჩოფეხებზე შემდგარი ის ბრბოში დასეირნობს და ბავშვებს სასაცილო ამბებს უყვება.** საუცხოო ფეიერვერკებს კოლუმბიელ თოვლის პაპაზე – პაპა პასკუალეზე უკეთ მსოფლიოში ვერავინ აწყობს.

ახალი წლის დადგომამდე ბოგოტის ქუჩებში თოჯინების აღლუმი ტარდება: დედაქალაქის უძველესი რაიონის კანდელარიის ქუჩებს უამრავ მანქანაზე დამაგრებული თოჯინური მასხარა, კლოუნი, ჯადოსანი, ურჩხული და სხვა ზღაპრული პერსონაჟი ჩამოსულ სტუმარსა და მოსახლეობას ემშვიდობება.

## თევზის ზურგზე შემჯდარი, ატმის ყვავილით ხელში

**ვიეტნამში ახალი წელი ჭანრის ზურგზე შემჯდარი მიცურდება ხოლმე. ახალი წელი, გაზაფხულის დღესასწაული, ტეტი – ყველა ეს სახელწოდება ერთ გამორჩეულ თარიღს ეკუთვნის. ახალი წლის სიმბოლო – აყვავებული ატმის რტო – ყველა სახლში უნდა იყოს. ბავშვები მოუთმენლად ელიან შუაღამეს, როცა პატარა თვითნაკეთი ტკაცუნებით სროლის დაწყება იქნება შესაძლებელი.**

ვიეტნამში ახალი წელი მთვარის კალენდრით 21 იანვარსა და 19 თებერვალს შორის შუალედში აღინიშნება. სადღესასწაულო სუფრას ყვავილების თაიგულებით რთავენ. ახალი წლის ღამეს მიღებულია ერთმანეთისთვის კვირტებდაბერილი ატმის რტოების მირთმევა.

ამ ღამეს ყველა უსიამოვნებებსა და წყენას ივიწყებს. ვიეტნამელებს მიაჩნიათ, რომ ყველა სახლში ღმერთი ცხოვრობს, რომელიც ყოველ ახალ წელს ზეცაში მიემგზავრება და იქ იმის ამბებს ყვება, თუ როგორ გაატარა განვლილი წელი ოჯახის თითოეულმა წევრმა.

ოდესღაც კი ვიეტნამელებს სწამდათ, რომ ახალი წელი კობრის ზურგზე ამხედრებული დაცურავს, ჩვენს დროში კი საახალწლოდ ცოცხალ ჭანარს ტბორში ან მდინარეში უშვებენ. მეკვლის ტრადიციისა მათაც გულწრფელად სწამთ.

## მოხატული სახეებით, ცეკვა-თამაშით

**ნეპალში ახალ წელს მზის ამოსვლასთან ერთად ხვდებიან.** სავსე მთვარის ღამეს ნეპალელები უზარმაზარ კოცონებს ანთებენ და გამოუსადეგარ ნივთებს წვავენ. მეორე დღეს კი საღებავების დღესასწაული იწყება – ადამიანები სახეს, მკერდს, ხელებს უჩვეულო ნახჭებით იხატავენ, შემდეგ კი ქუჩებში ცეკვავენ და მღერიან.

## შენ გილოცავ, ღვინის კასრო!..

**საფრანგეთში მთავარია ღვინის კასრზე შემოხვევა და მისთვის ახალი წლის მილოცვა, ფრანგი თოვლის პაპა – პერ ნოელი, ახალი წლის ღამეს საჩუქრებს ბავშვების ფეხსაცმელებში უტოვებს. მას, ვისაც ნამცარში ჩადებული ლობიოს კაკალი შეხვდება, ის „ლობიოს მეფის“ ტიტულს იღებს და სადღესასწაულო ღამეს მას ყველანი ემორჩილებიან.**

სანტონები – ესაა ხის ან თიხის პატარა ქანდაკებები, რომლებსაც ნაძვის ხესთან დგამენ. ტრადიციის მიხედვით, კარგმა მასპინძელ-მეღვინემ აუცილებლად უნდა მიუჭახუნოს ჭიქა ღვინის კასრს, მიულოცოს მას დღესასწაული და დალოცოს მომავალი დღესასწაული.

## ყველაზე ხმაურიანი დღესასწაული

**პანამაში ყველაზე ხმაურიანი ახალი წლის ზეიმი იციან: 12 საათის ჩამორეკვასთან ერთად, როგორც კი საყდრებში ზარების რეკვა იწყება, ყველა მძღოლი მანქანის ხმოვან სიგნალს იძლევა, ერთვება ყველა სირენა.** თავად პანამელები, დიდ-პატარები, ამ დროს რაც ხელში მოყვებათ, ყველაფერს აბრახუნებენ. მთელი ეს აურზაური ახალი წლის „გულის მოსაგებად“ ტყდება.

## დასტვენილი ახალი წელი

**უნგრეთში საახალწლოდ მიღებულია... სტვენა. ახალი წლის „საბედისწერო“ პირველსავე წამს ყველამ უნდა უსტვინოს, თანაც არა თითებით, არამედ საბავშვო საყვირებით, სასტვენებით, დუდუკებით.** უნგრელებს მიაჩნიათ, რომ სწორედ სტვენა აფრთხობს საცხოვრისიდან ავ სულებს, უხმობს სიხარულსა და კეთილდღეობას. დღესასწაულისთვის სამზადისის დროს იქ არც საახალწლო კერძების მაგიური ძალა ავიწყდებათ: ლობიო და მუხუდო სულსა და სხეულს ძალას უნარჩუნებენ, ვაშლები – სილამაზესა და სიყვარულს, ნიგოზს უბედურებისაგან შეუძლია კაცის დაცვა, ნიორს – ავადმყოფობისგან, თაფლი კი სიცოცხლეს ატკბობს.

## დღესასწაული „ბრძანებით“

**ბირმაში ახალ წელს 12-სა და 17 აპრილს შორის შუალედში ზეიმობენ. ზუსტ თარიღს საგანგებო ბრძანებით ქვეყნის კულტურის სამინისტრო ადგენს, ზეიმი კი სამ დღეს გრძელდება. ბირმული ლეგენდით, წვიმის ღმერთები ვარსკვლავებზე ცხოვრობენ, რომლებიც ზოგჯერ ერთმანეთთან სათამაშოდ ცის კიდეზე იკრიბებიან ხოლმე. უხვი მოსავლის საწინდარი წვიმაც სწორედ ამ დროს მოდის.**

ვარსკვლავურ სულთა კეთილგანწყობის მოსაპოვებლად, ბირმელებმა შეჯიბრი მოიგონეს – ბაგირის გადაწევა. ამ შეჯიბრში ქალაქებში მეზობელი ქუჩების მოსახლეები მონაწილეობენ, პროვინციაში – მეზობელი სოფლების მამაკაცები. ქალები და ბავშვები კი ტაშს უკრავენ და მხიარული შეძახილებით ზანტ წვიმის ღმერთებს ამხნევებენ.

## ტკბილი მიირთვით, მწარეს პირს ნუ დაიკარებთ

**ისრაელში ახალ წელს (როშ ხა-შანას) ტიშრეის, სექტემბერის თვის პირველ ორ დღეს ზეიმობენ. როშ ხა-შანა – სამყაროს შექმნის წლისთავია და უფლის სამყაროს დასაბამი.** ახალი წლის დღესასწაული – ესაა ლოცვის დღე. ტრადიციით, დღესასწაულის დადგომამდე საგანგებო საჭმელს მიითრმევენ – ესენია თაფლიანი ვაშლი, ბროწეული, თევზეული, რაც დამდეგ წელთან დაკავშირებულ იმედებს განასახიერებს. ყოველ ტრაპეზს მოკლე ლოცვა უძღვის. ძირითადად მიღებულია ტკბილი საჭმლის ჭამა, მწარისგან და ცხარისგან კი თავის შეკავება. ახალი წლის პირველ დღეს მიღებულია წყალთან მისვლა და ლოცვა თაშლიჰის წარმოთქმა.

## მრავალსახა ახალი წელი

**ინდოეთში ახალ წელს სხვადასხვა დროს ხვდებიან: ზაფხულის დამდეგს დღესასწაულ ლორის ზეიმობენ, რა დროსაც ბავშვები სახლების წინ ფიჩხს, ნამჯასა და ძველ ნივთებს აგროვებენ, საღამოობით კი დიდ კოცონებს ანთებენ, რომელთა გარშემო ცეკვავენ და მღერიან.** შემოდგომაზე კი დივალის დღესასწაულის დროა. სადღესასწაულო ღამეს სახლების სახურავებზე, ფანჯრების რაფებზე ათასობით ლამპარს ანთებენ, გოგონები კი მდინარეებზე ანთებულ სანთლებთან პატარა ნავებს აცურებენ.

## მოტიბანა, იაპონური ნაძვის ხე

**იაპონიაში ახალ წელს ახალ სამოსელში ხვდებიან, რადგან მიჩნეულია, რომ ამას ახალ წელში ჯანმრთელობა და კარგი ბედი მოაქვს. ახალი წლის ღამეს ბალიშის ქვეშ აფრიანი გემის გამოსახულებიან სურათს დებენ, რომლითაც შვიდი ზღაპრული ჯადოსანი, ბედნიერების შვიდი მფარველი მიცურავს.**

ახალი წლის დადგომას ზარის 108 ჩამოკვრით აღნიშნავენ. ძველი გადმოცემით, ზარის თითოეული ჩამორეკვა ადამიანის ერთ-ერთ მანკიერ თვისებას „კლავს“. ასეთი, იაპონელთა რწმენით, სულ ექვსია (სიხარბე, ბრაზიანობა, სისულელე, თავქარიანობა, გაუბედაობა და მოშურნეობა), მაგრამ თითოეულ მათგანს 18 სხვადასხვა ელფერი აქვს – და სწორედ მათზე რეკს ზარი...

დილაობით, როცა ახალი წელი ძალაში შედის, იაპონელები სახლებიდან გარეთ გადიან მზის ამოსვლის შესახვედრად, რომლის ამოწვერებასთან ერთად ერთმანეთს დღესასწაულის დადგომას ულოცავენ და საჩუქრებს მიართმევენ. სახლებში კი მოტის ბურთულებით მორთულ საახალწლო ხეს – მოტიბანაბს დგამენ. იაპონელ თოვლის პაპას სეგაცუსანი, „ბატონი ახალი წელი“ ჰქვია.ყველაზე პოპულარული საახალწლო აქსესუარია ფოცხი: ყველა იაპონელს სწამს, რომ მისი ქონა იმიტომაა საჭირო, რომ ბედნიერების მობოჭვა შეძლოს. ბამბუკის ფოცხებს – „კუმატეს“ – 10 სანტიმეტრიდან 1,5 მეტრამდე ზომებისას აკეთებენ და მათ ნაირ-ნაირი ნახატებითა და თილისმებით რთავენ.

ოჯახში ბედნიერების შემომტანი წლის ღვთაების გულის მოსაგებად, იაპონელები სახლის წინ სამი ბამბუკის ჩხირიდან პატარა კარიბჭეს აშენებენ, რომლებსაც ფიჭვის ტოტებს აბამენ. შეძლებული ხალხი ჯუჯა ფიჭვს, ბამბუკის, ასევე ქლიავის ან ატმის ნერგებს ყიდულობს.

## 48-ე საუკუნის ქვეყანა

**ჩინეთში შენარჩუნებულია ბუდას განბანის საახალწლო ცერემონია, რომელსაც ყველა ტაძარსა და მონასტერში უდიდესი მოკრძალებით ასრულებენ, წყალს ანკარა მთის წყაროებიდან იღებენ. ადამიანები კი წყალს ისხამენ, რა დროსაც სხვები მათ მიმართ საახალწლო სურვილებს გამოთქვამენ.** ამიტომაცაა, რომ დღესასწაულის დროს ქუჩებში ყველანი დასველებულები დაიარებიან. ძველი ჩინური კალენდრით, ამჟამად ქვეყანაში 48-ე საუკუნეა, წლევანდელი კი 4703 წელია. გრიგორიანულ წელთაღრიცხვაზე ჩინეთი 1912 წელს გადავიდა. ჩინური ახალი წლის თარიღი 21 იანვრიდან 20 თებერვლამდე შუალედში გადადის.

## თოფის სროლით და ჭურჭლის მსხვრევით

**ირანში ახალი წელი 22 მარტის შუაღამეს დგება, რა დროსაც ყველა ოჯახში თოფს ისვრიან.** ყველა ზრდასრულს ხელში ვერცხლის მონეტები უჭირავს, რაც დამდეგ წელს მშობლიურ მხარეში ყოფნის ნიშანია. ახალი წლის პირველ დღეს, წესისამებრ, მიღებულია ძველი თიხის ჭურჭლის დამსხვრევა და მისი ახლით შეცვლა.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# „მეტად ნაჩქარევი გადაწყვეტილება“

**მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ აფხაზეთის მინისტრთა კაბინეტს განზრახული აქვს დააწესოს სანქციები თურქეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ.** განკარგულებაში, რომელსაც ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი არტურ მიქვაბია, ნათქვამია იმის შესახებ, რომ რუსეთ-აფხაზეთის ხელშეკრულება მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ითვალისწინებს საგარეო პოლიტიკის კოორდინირებულ განხორციელებას და ავალდებულებს აფხაზეთს, შეუერთდეს რუსეთის სანქციებს თურქეთის წინააღმდეგ.

ამ დოკუმენტის თანახმად, საგარეო საქმეთა სამინისტრომ 2016 წლის 20 იანვრამდე უნდა წარმოადგინოს წინადადება კონტროლის გაძლიერების შესახებ აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა ურთიერთმოქმედების შესახებ იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც თურქეთის რესპუბლიკის იურისდიქციის ქვეშ იმყოფებიან. იუსტიციის სამინისტრომ კი – წინადადება კონტროლის გაძლიერების შესახებ აფხაზეთის ტერიტორიაზე არაკომერციული ორგანიზაციების, დაწესებულებების ან თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეების კონტროლქვეშ არსებული საწარმოების საქმიანობაზე. ეკონომიკის სამინისტრომ აფხაზეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო კომიტეტთან ერთად უნდა წარმოადგინონ წინადადებები ერთობლივი შეზღუდული დროებითი ზომების შესახებ იმ ცალკეული სახეობის საქონლის იმპორტთან დაკავშირებით, რომლებიც თურქეთის რესპუბლიკაშია დამზადებული.. კონტროლი ამ განკარგულების შესრულებაზე დაეკისრა აფხაზეთის ორ ვიცე-პრემიერს – შამილ აძინბას და დიმიტრი სერიკოვს.

მინისტრთა კაბინეტის ამ გადაწყვეტილებამ აფხაზეთის მოქალაქეების მკაცრი რეაქცია გამოიწვია, ვინაიდან კავშირურთიერთობანი თურქეთთან მეტად მრავალფეროვანია და მნიშვნელოვანი აფხაზეთის მოსახლეობისათვის, ეს ურთიერთობანი ყალიბდებოდა ომისშემდგომ, თითქმის 20 წლის განმავლობაში, კაბინეტის ამ განკარგულებას კი მივყავართ მათს ფაქტობრივ ნგრევასთან.

ვიცე-პრემიერმა დიმიტრი სერიკოვმა სიტუაციას ასეთი კომენტარები გაუკეთა: **„გუშინ იყო პრემიერ-მინისტრის განკარგულება, რომ ჩვენ ვერთვებით სანქციებში რუსეთის ფედერაციის მხრიდან თურქეთის რესპუბლიკის მისამართით. იგი, უწინარეს ყოვლისა, დაკავშირებულია შეთანხმებასთან რუსეთის ფედერაციასთან სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ. სინამდვილეში ეს განკარგულება კონკრეტულ სანქციებსა და კონკრეტულ დასახელებებს არ აწესებს, იგი საზღვრავს ფარგლებს და ცალკეულ უწყებათა დავალებებს – მოამზადონ წინადადებები კონკრეტულ პოზიციებთან, სანქციებთან და საქონლის კონკრეტულ სახეობებთან დაკავშირებით. შემოვიღებთ თუ არ დავწესებთ სანქციებს, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა წინადადებები იქნება თითოეული უწყებისაგან. აკრძალვის ზომები კი ამ განკარგულებაში იყო მხოლოდ ერთი – ესაა აკრძალვა თურქეთის ბიზნესის მონაწილეობაზე დაკვეთების გავრცელებაში საინვესტიციო პროგრამების ფარგლებში. 20 რიცხვისთვის წინადადებები განხილული იქნება მინისტრთა კაბინეტში, მხოლოდ მათი განხილვისა და დამტკიცების შემდეგ მინისტრთა კაბინეტში მიღებული იქნება ეს გადაწყვეტილებები, ან არ იქნება მიღებული საერთოდ“.**

სერიკოვის აზრით, სანქციები არ ვრცელდება რეპატრიანტებზე, რომლებიც აფხაზეთის მოქალაქეები არიან. შეკითხვაზე იმის შესახებ, თუ რამდენს დაკარგავს აფხაზეთი სანქციების შემოღებისგან და რამდენად მგრძნობიარე იქნება ეს მისი ეკონომიკისათვის, დიმიტრი სერიკოვმა უპასუხა: **„საგარეო სავაჭრო ბრუნვამ თურქეთთან 2015 წლის ათი თვის შედეგებით შეადგინა დაახლოებით 2,5 მილიარდი რუბლი – ესაა საექსპორტო და საიმპორტო ოპერაციები. საექსპორტო ოპერაციების შესახებ საერთოდ საუბარი არაა, ესე იგი ეს არის ის, თუ რის ექსპორტსაც ჩვენ ვაწარმოებთ თურქეთში. ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების წინაშე დასახულია ამოცანები, რომლებიც შეეხება საიმპორტო ოპერაციებს. ესაა რაღაც საქონლების შესყიდვა თურქეთის რესპუბლიკაში. 2,5 მილიარდი რუბლიდან იმპორტული ოპერაციები საგარეო სავაჭრო ურთიერთობაში, რაზეც არის საუბარი, შეადგენს დაახლოებით 1 მილიარდ 200 მილიონ რუბლს. უწინარეს ყოვლისა, ჩვენ სათავეში დავაყენებთ ჩვენი ეკონომიკის ინტერესებს, იმ ტოტის მოჭრას, რომელზეც ჩვენ ვსხედვართ, არ ვაპირებთ“.**

პარლამენტის დეპუტატები, რომლებთანაც ჩვენ მოვახერხეთ საუბარი, გამოხატავდნენ უკიდურეს გაოცებას პრემიერ-მინისტრის ასეთ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

კერძოდ, დეპუტატმა ბესლან ცვინარიამ განაცხადა: **„მეტად ნაჩქარევი გადაწყვეტილებაა, ჩვენ ორთქლმავალს გავუსწარით, თუ ყველაფერს თავის სახელს დავარქმევთ. ისიც არ გაითვალისწინეს, რომ იქ ჩვენი დიასპორა ცხოვრობს, რომ ამან შეიძლება მას დაარტყმა მიაყენოს. შემდეგ კი ძირითადად ბიზნესი აქვთ და ერთობლივი საწარმოები შედგება სწორედ აფხაზეთის დიასპორის წარმომადგენლების 90 პროცენტისაგან. ამიტომ ამ გადაწყვეტილებით ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, ვურტყამთ ჩვენს დიასპორას. ჩემი აზრით, ეს არასწორია. უეჭველია, მე პატივისცემით ვეპყრობი ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორს და ჩემთვის უინტერესო არაა, თუ რა ხდება იქ, და მინდოდა, რომ რთულ სიტუაციებში მათ მხარი დავუჭიროთ, მაგრამ არის მომენტები, რომლებიც არ გვაძლევენ საშუალებას, რომ იარაღით შევუტიოთ და ვიმოქმედოთ კვლავ იმის გამო, რომ იქ ჩვენი დიასპორის დიდი ნაწილი ცხოვრობს. ეს პირველი. მეორეც: ჩვენ მთლად ფართოდ აღიარებული სახელმწიფო არა ვართ, და თუ არის რაიმე შეესაძლებლობა ჩვენთან დამოკიდებულებაში, ზოგიერთი ქვეყანა ავლენს პოზიტიურ დამოკიდებულებას, რათა შემდგომ გვაღიარონ, ჩვენ ასეთი ძალისხმევა უნდა გამოვიყენოთ. და ამ თვალსაზრისით, გარკვეულწილად მეჩვენებოდა, რომ თურქეთი ერთ-ერთი ასეთი ქვეყანაა, იქ ჩვენი დიასპორის ცხოვრების გათვალისწინებით. ჩვენ რომ შეგვეძლოს მათთან კონტაქტების მოწესრიგება, უფრო ეფექტიანად მუშაობა, შესაძლებელია ისინი განიხილავდნენ კიდეც აფხაზეთის სტატუსის საკითხს. ამიტომ მათთან დავა არასწორია. მაგრამ ჩვენ უკვე ამ გადაწყვეტილებით მათ ვედავებით, ეს არ არის შორსმჭვრეტელობა, ჩემი შეხედულებით“.**

ტექსტი შეიცავს ტოპონიმებსა და ტერმინოლოგიას, რომლებსაც იყენებენ აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკებში.

Эхо Кавказа

## დედამიწის ზურგზე

### პაკისტანის საკონსულოს მახლობლად, ავღანეთის ჯელალაბადში ბომბი აფეთქა თვითმკვლელმა

ტერორისტი ხალხის მასაში იმყოფებოდა, რომლებიც იდგნენ რიგში პაკისტანის ვიზის მისაღებად. მან აფეთქა ბომბი მას შემდეგ, რაც დაცვამ არ მისცა მას საშუალება შესულიყო საკონსულოს შენობაში. ამის შემდეგ რაიონში სროლებიც ატყდა.

### მალაიზიაში 16 წლის მოსწავლე შეეცადა განეხორციელებინა ტერორისტული აქტი ისლამური სახელმწიფოს სახელით

მოზარდმა დანის მუქარით მძევლად აიყვანა გამყიდველი და უბრძანა მას, დაკავშირებოდა პოლიციას. როდესაც პოლიციელები მივიდნენ შემთხვევის ადგილზე, ის არც ცდილა გაქცევას. წყაროების მონაცემებით, ის სწავლობდა კერძო რელიგიურ სკოლაში და თავისი საქციელით სურდა დაემტკიცებინა ისლამური სახელმწიფოს არსებობა მალაიზიის ტერიტორიაზე.

### პაკისტანში პოლიომიელიტის ვაქცინაციის ცენტრის მახლობლად ტერაქტი მოხდა

წინასწარი მონაცემებით, დაიღუპა სულ ცოტა 15 კაცი, ოცზე მეტი დაიჭრა. დაღუპულთა შორის 12 პოლიციელია, რომლებიც იცავდნენ კლინიკას ისლამისტი ბოევიკების თავდასხმისაგან.

### თურქეთში დააკავეს სამი რუსეთელი, რომლებიც შეიძლება დაკავშირებული იყვნენ სტამბოლში მომხდარ ტერორისტულ აქტთან

რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები დააკავეს რეიდის დროს, რომელიც სტამბოლში ტერორისტული აქტის შემდეგ მოეწყო სულთან ახმედის მოედანზე. მათზე არის ეჭვი, რომ დაკავშირებული იყვნენ ისლამურ სახელმწიფოსთან. დაკავებულებისგან ამოიღეს ელექტრონული დოკუმენტები და კომპაქტ-დისკები.

### სამხრეთმა კორეამ ჩრდილოეთი კორეის უპილოტო თვითმფრინავის მისამართით გახსნა გამაფრთხილებელი ცეცხლი

სამხრეთი კორეის საინფორმაციო სააგენტოების მონაცემებით, თვითმფრინავი თითქოს შეიჭრა კორეის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მაგრამ შეტევის შემდეგ დაბრუნდა ჩრდილოეთში. ინციდენტი მოხდა ტორასანის სამეთვალყურეო პუნქტთან დემილიტარიზებული ზონის დასავლეთ სანაპიროზე ორი სახელმწიფოს საზღვართან, როდესაც კორეის რესპუბლიკის სამხედროებმა ცაში შენიშნეს კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის უპილოტო თვითმფრინავი.

### ყაზახი დეპუტატები ვადამდელ არჩევნებს ითხოვენ

მაჟილისის ამჟამინდელი შემადგენლობა არჩეული იქნა 2012 წლის იანვარში. მეხუთე მოწვევის დეპუტატების უფლებამოსილებანი იწურება 2016 წლის შემოდგომაზე. გადაწყვეტილებას მაჟილისის დათხოვნის შესახებ პარლამენტის ორივე პალატის თავმჯდომარეებთან და ქვეყნის პრემიერ-მინისტრთან კონსულტაციების შემდეგ ღებულობს პრეზიდენტი. იგივე ნიშნავს რიგგარეშე არჩევნებს.

◎ ევროსაბჭოს კომისარი

# საქართველოში გასაძლიერებელია დამოუკიდებელი სასამართლო

**12 იანვარს გამოქვეყნდა ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის ნილს მუჟნიეკსის მოსაზრებები, რომლებიც საქართველოში მისი ბოლო ვიზიტის ფარგლებში (2015 წლის 9-13 ნოემბერს) შეგროვილ ინფორმაციას ეყრდნობა. მართალია, კომისარი ხედავს პროგრესს იმ მდგომარეობასთან შედარებით, რაც მის 2014 წლის მაისის ანგარიშშია ასახული, მაგრამ სამშაბათს გამოქვეყნებულ დოკუმენტში კვლავაც საუბარია, მაგალითად: სასამართლო სისტემის რეფორმირების ნაკლოვანებებზე, პოლიტიკური ნიშნით დევნასთან დაკავშირებულ ეჭვებსა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის გამოწვევებზე.**

ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის დაკვირვებით, სასამართლო სისტემის რეფორმირებამ საქართველოში, გარკვეულწილად, დადებითი შედეგები გამოიღო და ეს ძირითადად შეეხება: **პროკურატურის ზეგავლენის შემცირებას, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მუშაობაში გამჭვირვალობის გაზრდასა თუ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის გაუმჯობესებას.** თუმცა პრობლემები და გამოწვევები კვლავაც მრავლად რჩება და მათ შორის აღინიშნება მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის პროცესის ნაკლოვანებები და მოსამართლეთა დისციპლინური დევნის სისტემის ხარვეზები. ადამიანის უფლებათა კომისრისთვის მიუღებელია მოსამართლეებზე ზეწოლა და, მათ შორის, საზოგადოების მხრიდანაც — **ასეთი ფაქტები, მისი აზრით, აშკარად გამოვლინდა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებთან მიმართებით, როცა საკონსტიტუციო სასამართლომ თბილისის ყოფილი მერის სარჩელი დააკმაყოფილა საქალაქო სასამართლოს მოსამართლის მისამართით, როცა ის ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის საქმეს განიხილავდა.** მართალია, სამშაბათს გამოქვეყნებულ დოკუმენტში ნათქვამია, რომ „რუსთავი-2“-ის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება ნილს მუჟნიეკსს ბევრმა თანამოსაუბრემ დაუხასიათა როგორც გარე ჩარევის მცდელობა ტელევიზიის შიდა საქმეებში, მაგრამ ხსენებული დოკუმენტი საკითხს ამ მიმართულებით აღარ ავრცობს.

**მართალია, ზოგადად შეინიშნება წინასწარი პატიმრობის პრევენციულ ზომად შეფარდების რიცხვის კლება, რაც დადებითი ტენდენციაა და უნდა გაგრძელდეს, მაგრამ პრობლემები იკვეთება, წინასწარი პატიმრობის გამოყენებისა და გახანგრძლივების თვალსაზრისით, ოპოზიციის წარმომადგენლების მიმართ...**

**ნილს მუჟნიეკსი.**

ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის მოსაზრებები მოიცავს ასევე შეშფოთებას, სავარაუდოდ, პოლიტიკურად მოტივირებული ზომებისა და მიკერძოებული მიდგომების გამო, როდესაც საქმე შეეხება ოპოზიციას და, კერძოდ, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“. ამ ჭრილში მოყვანილია მაგალითად 2015 წლის ოქტომბერში ქუთაისის პარლამენტთან მომხდარი ინციდენტი, როდესაც ოპოზიციასთან დაახლოებული „თავისუფალი ზონის“ აქტივისტები დააკავეს და მათ წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს, მაშინ როცა ასეთი ზომები არ იყო გამოყენებული წარსულში მათ წინააღმდეგ, ვინც ოპოზიციის წარმომადგენლებს დაესხა თავს. ნილს მუჟნიეკსის ყურადღება გიგი უგულავას შემთხვევამაც მიიპყრო:

**„მართალია, ზოგადად შეინიშნება წინასწარი პატიმრობის პრევენციულ ზომად შეფარდების რიცხვის კლება, რაც დადებითი ტენდენციაა და უნდა გაგრძელდეს, მაგრამ პრობლემები იკვეთება, წინასწარი პატიმრობის გამოყენებისა და გახანგრძლივების თვალსაზრისით, ოპოზიციის წარმომადგენლების მიმართ. მაგალითად, თბილისის ყოფილი მერისა და „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის გიორგი უგულავას შემთხვევაში ამ ზომების გამოყენება ფართოდ აღიქმება კავშირში მიზანთან, რომ ის საპატიმროში დაეტოვებინათ“.**

ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის 12 იანვარს გამოქვეყნებულ მოსაზრებებში საუბარია არასათანადოდ მოპყრობის ფაქტების არსებობაზე სასჯელაღსრულების ზოგიერთ დაწესებულებასა და პოლიციის განყოფილებებში. **ნილს მუჟნიეკსი ამ პრობლემის გადაჭრის ეფექტიან გზად გამოძიების დამოუკიდებელი მექანიზმის შექმნას მიიჩნევს.**

ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი ნილს მუჟნიეკსი მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, **უზრუნველყოს ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობისა და მექანიზმების უფრო ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობა. ამ კონტექსტში აღნიშნულია პარლამენტის მიერ იმ საკანონმდებლო ცვლილებების სწრაფად დამტკიცების აუცილებლობა, რომლებიც დისკრიმინაციასთან ბრძოლის კუთხით (მათ შორის, კერძო სექტორში) მეტ უფლებამოსილებას მიანიჭებს სახალხო დამცველს.**

უმცირესობათა უფლებების შელახვის კუთხით ევროსაბჭოს კომისრის მოსაზრებებში არცთუ სახარბიელო ვითარებაა აღწერილი და **ძირითადად ლაპარაკია რელიგიურ უმცირესობათა უფლებების შელახვაზე — მუსლიმთა თუ იეღოვას მოწმეთა ინტერესების წინააღმდეგ განვითარებულ მოვლენებზე, სადაც ძალადობა იკვეთება.** კომისარი იხსენებს ადამიანის უფლებების ევროპულ სასამართლოში საქართველოსთან დაკავშირებული საქმეების განხილვას და ხაზს უსვამს ობიექტური და შედეგიანი გამოძიების აუცილებლობას ქვეყნის შიგნითაც:

**„რელიგიურ თავისუფლებათა უკანონო შეზღუდვა და, განსაკუთრებით, ძალადობის ფაქტები ეფექტიანად უნდა იქნეს გამოძიებული და ყველა დამნაშავე ადეკვატურად, კანონმდებლობის შესაბამისად უნდა დაისაჯოს. უნდა დასრულდეს გამოძიება რელიგიურ თავისუფლებათა უკანონოდ შეზღუდვის ჭრილში ადრე გამოვლენილ ინციდენტებთან (და, მათ შორის, ნიგვზიანსა და სამთაწყაროში განვითარებულ მოვლენებთან) დაკავშირებით“.**

ამ და სხვა არაერთი პრობლემური აქცენტის გათვალისწინებით, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე ანა ნაცვლიშვილი მიიჩნევს, რომ ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის მოსაზრებები ადეკვატურად ასახავს საქართველოში არსებულ მდგომარეობას და არც ის არის შემთხვევითი, რომ საგანგებო ყურადღება სწორედ სასამართლო სისტემის გაჯანსაღების აუცილებლობაზე მახვილდება.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია აქტიურად თანამშრომლობს ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის ნილს მუჟნიეკსის ოფისთან და მუდმივად აწვდის მას ინფორმაციას. როგორც ანა ნაცვლიშვილმა აღნიშნა რადიო „თავისუფლებასთან“ საუბრისას, მნიშვნელოვანია, რომ ასეთი მაღალი თანამდებობის პირი ასე ადეკვატურად აფასებს ადამიანის უფლებათა მდგომარეობასა და გამოწვევებს საქართველოში. საიას თავმჯდომარის თქმით, **ამით დასტურდება, რომ პრობლემები, რაზეც საქართველოში მუდმივად ლაპარაკობს არასამთავრობო სექტორი, არ არის თითიდან გამოწოვილი და რომ ამას ხედავენ საქართველოს ძალიან მნიშვნელოვანი პარტნიორები და მეგობრები.**

**ლელა კუნჭულია,**
რადიო „თავისუფლება“

◎ ამერ-იმერი

## „შენს საქციელს ჰქვია „მეშჩანობა“ და „უზნეობა“, ნინი!

**საზოგადოებრივი კომუნიკაციების მართვის სპეციალისტი არჩილ გამზარდია საქართველოს პატრიარქის შესახებ გაკეთებული განცხადების შემდეგ, ნინია კაკაბაძეს „ფეისბუქის“ მეშვეობით მიმართავს. „ნინია კაკაბაძეს უთქვამს, პატრიარქი მეშჩანი და უზნეოაო, და ამბავი მოუყოლია, ბავშვობაში დედასთან ერთად მოვხვდით პატრიარქთან ერთად მის სახლში და დედამ მითხრა, ნახე, რა ძვირფასი სახლი აქვს, მეშჩანი და უზნეო გვყავსო.**

**გამახსენდა, ალბათ ყველა ჩვენგანს ჰყავს სანაცნობოში ადამიანი, რომელიც ვინმესთან სახლში რომ მიდის, კედლებს უყურებს, ჭურჭელს, ვის რა აცვია და ა. შ. და რაც გინდა ხდებოდეს — წვეულება იყოს, პანაშვიდი, დაბადების დღე თუ ჩვეულებრივი შეხვედრა, იქიდან გამოსული მხოლოდ მასპინძლის ჭორაობაშია, ეს რა ეცვა, რა თეფში ედო, რა ჭამა და როგორ... აი, ამას ჰქვია „მეშჩანობა“ და „უზნეობა“, ჰოდა, იმ ადამიანს რა დავარქვა, პატრიარქთან რომ არის სტუმრად და კედლებს უყურებს ან თეფშების ფასს უყურებს, ან ვინ რას ჭამს და რა აცვია... აი, ეს არის, ძვირფასო ნინია, „მეშჩანობაცა“ და „უზნეობაც“... ამიტომ, ამ კუთხით იქნებ ჯერ საკუთარი თავი გამოგესწორებინა და მერე სხვებზე გელაპარაკა? თორემ თქმაში რა ყრია, ილაპარაკე და იყავი, კანონი არ გზღუდავს, სინდისი არ გზღუდავს, ინტელექტი არ გზღუდავს და თვალსაწიერი, მაგრამ იქნებ უკეთ გაერკვიო, ან მეწვრილმანეობა რა არის, ან უზნეობა და თუ მაინცდამაინც გაღელვებს ეს, მხილება საკუთარი თავით დაიწყე“, — წერს არჩილ გამზარდია. გამზარდიას ასევე სოციალური ქსელის მეშვეობით უპასუხა ნინია კაკაბაძემ.**

**„ეს რა ძვირფასი დებილია“, — დაწერა უთუოდ კარგი ფილოსოფოსი მამის ავად გაბოროტებულმა მოშურნე ქალიშვილმა ნინიამ.**

## როდის იტყვის სიმართლეს ელისაშვილი?

**მინდა, სურვილი და იმედი გამოვთქვა, რომ ალეკო ელისაშვილი ბოლოს და ბოლოს დაასახელებს იმ პიროვნებას, რომელმაც მისი სიტყვებით, მას მიაწოდა ინფორმაცია კორუფციული დანაშაულის შესახებ, — განუცხადა ჟურნალისტებს მთავარმა პროკურორმა ირაკლი შოთაძემ საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატის ალეკო ელისაშვილის მიერ გამოძიების გაჭიანურებასთან დაკავშირებით გამოთქმული პრეტენზიის საპასუხოდ.**

**შოთაძემ განმარტება გააკეთა ელისაშვილის იმ მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობასთან დაკავშირებით, რომელიც გიორგი ბადაშვილთან გამართული შეხვედრის ამსახველი კადრების ამოღებას უკავშირდება.**

**მთავარი პროკურორის თქმით, წელიწად-ნახევრის წინანდელი კადრების შენახვის რესურსი პროკურატურას არ გააჩნია.**

**მისივე განცხადებით, არც გიორგი გოგაძე და არც გიორგი ბადაშვილი არ უარყოფენ ამ შეხვედრას, თუმცა აცხადებენ, რომ იქ საუბარი არ ყოფილა ეგრეთ წოდებულ შეწყალების სკანდალზე.**

**„არც გიორგი ბადაშვილი და არც გიორგი გოგაძე არ უარყოფენ ასეთი შეხვედრის ფაქტს, შესაბამისად, ჩემთვის გაუგებარია, რატომ ხდება ამ ჩანაწერებით სპეკულირება. მათ დაადასტურეს, რომ იყო შეხვედრა მთავარ პროკურორთან, თუმცა აქ საკითხი ეხება იმას, რომ ელისაშვილთან შეხვედრაზე არ ყოფილა საუბარი შეწყალების კომისიის საქმიანობაზე და იმ პრობლემატიკაზე, რომელიც შეწყალებას თან ახლავს და იმ შესაძლო დანაშაულებრივ ფაქტებზე. შესაბამისად, ეს ფაქტები გამოკვლეულია და სამწუხაროდ, პროკურატურას იმის რესურსი არა აქვს, რომ წელიწად-ნახევრის განმავლობაში შეინახოს ასეულობით კამერის ჩანაწერი, რაც საკმაოდ დიდ რესურსს საჭიროებს.**

**მინდა, სურვილი და იმედი გამოვთქვა, რომ ალეკო ელისაშვილი ბოლოს და ბოლოს დაასახელებს იმ პიროვნებას, რომელმაც მისი სიტყვებით, მას მიაწოდა ინფორმაცია კორუფციული დანაშაულის შესახებ“, — განაცხადა ირაკლი შოთაძემ.**

## რატომ გეშინია, ალიკო, პოლიტპატიმრებთან შეხვედრისა?

**საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გედევან ფოფხაძე არ გამორიცხავს, რომ პატიმრების შეწყალების პროცესში შესაძლოა იყო შეცდომები, მაგრამ ასობით უდანაშაულო ადამიანის საპატიმროებიდან გამოყვანით, კომისიამ თავისი მოვალეობა შეასრულა.**

**როგორც ფოფხაძემ ტელეკომპანია „იბერიის“ გადაცემა „პრიორიტეტში“ განაცხადა, იგი მზადაა, პასუხისმგებლობა აიღოს საკუთარ გადაწვეტილებებზე.**

**„მე ვამბობ, რომ პროცესს ვუჭერდი მხარს და თუ ამ პროცესში რაიმე შემეშალა, ამაზეც პასუხისმგებელი ვარ. მაგრამ მიმაჩნია, რომ ასობით უდანაშაულო, ნატანჯი-ნაწამები ადამიანი გამოვუშვით იმ მომენტში ციხიდან და ამ საქმესთან დაკავშირებული კითხვის ნიშნები ჩემთვის ცოტა უხერხულია“, — განაცხადა ფოფხაძემ და კითხვაზე, მოხვდნენ თუ არა კრიმინალები პოლიტპატიმართა სიაში, აღნიშნა — „არ ვიტყოდი არც იმას, რომ გამოვრიცხავ ამას და არც იმას, რომ არ გამოვრიცხავ“.**

**გედევან ფოფხაძის განცხადებით, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა თავი არ უნდა აარიდოს პოლიტპატიმრებთან შეხვედრას და მათთვის პრიორიტეტული საკითხები განხილვას. ფოფხაძის თქმით, ეს შეხვედრა არც ერთ შემთხვევაში არ უნდა დაემსგავსოს საქმის გარჩევას.**

**„კომისია ვერ გაექცევა ამდენი ადამიანის თხოვნას, რომ მოხდეს მათთან შეხვედრა და საუბარი იმ საკითხებზე, რაც მათთვის მნიშვნელოვანია. რა თქმა უნდა, საქმის გარჩევის ფორმა ამ შეხვედრას არც ერთ შემთხვევაში არ უნდა ჰქონდეს“, — განაცხადა ფოფხაძემ.**

**შეგახსენებთ, რომ პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული პირები საკრებულოს დამოუკიდებელ დეპუტატ ალეკო ელისაშვილს საკომიტეტო მოსმენაში მონაწილეობას სთხოვენ. ალეკო ელისაშვილი კი მოსმენაზე მისვლას არ აპირებს და პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებულების განცხადებას ეკა ბესელიასა და მანანა კობახიძის მიერ მართულს უწოდებს.**

ჯი-ეიბ-ენი, მედიანიუსი

◎ წლის საუკეთესო

# მაქის გზით – მწვერვალებისკენ

## ეს იყო რვა წლის წინათ

**ერთ უქმე დღეს რუსებისგან დაბომბილ გორს ვეწვიე. გულმა არ მომითმინა და საჭიდაო დარბაზშიც შევიხედე. ოფლში გახვითქულ ჭაბუკებს ხალიჩაზე ელვისებური ფანდების კორიანტელი დაეყენებინათ. ვიცოდი, ასეც იქნებოდა, რადგან საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ ნუგზარ სხირელს, ჩვეულებრივ, გამოსასვლელი დღეები იშვიათად აქვს, ისიც – განსაკუთრებული შემთხვევისთვის.**

**– როგორი ბიჭები არიან? – მკითხა სიამაყით ბატონმა ნუგზარმა მოსალმების შემდეგ და ისევ ხალიჩისკენ გაექცა თვალი.**

**წუნს, მართლაც, ვერავის დასდებდი, თუმცა, გამორჩეულად ერთმა ყმაწვილმა მიიპყრო ჩემი ყურადღება – მისი ილეთები უფრო დახვეწილი და მრავალფეროვანი მეჩვენა.**

– ეს ჩვენი ახალი ჯილაა – ლადო ხინჩეგაშვილი, მამის ალიკვალია, – ამიხსნა მაშინ მასპინძელმა. – გიორგის ჭაბუკობამაც ჩემ თვალწინ გაირბინა. ახალგაზრდებში ორჯერ ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა, მსოფლიოს პირველობებზე ოქროს და ვერცხლის მედლები დაიმსახურა. დიდ იმედებს ვამყარებდით მასზე, მაგრამ უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა... სამაგიეროდ, შვილი განაგრძობს მამის გზას. შრომისმოყვარე, ნიჭიერი ყმაწვილია და მომავალ შეჯიბრებებშიც არაერთხელ გაგვახარებს.



რაზე ოცნებობ-მეთქი, ვკითხე მაშინ ლადოს. „გორში ომი რომ დაიწყო, დედამ მე და ჩემი და ხაშურში წაგვიყვანა. იქ ვუყურე პეკინის ოლიმპიადას. დილაუთენია ვდგებოდი, რომ ჭიდაობები არ გამომპარვოდა. ძალიან გამახარა ირაკლი ცირეკიძის, მანუჩარ კვირკველიას და რევაზ მინდორაშვილის ჩემპიონობამ. უკვე ჩვიდმეტი წლის ვარ და ოლიმპიურ თამაშებზე მეც ვოცნებობ, ყველაფერს გავაკეთებ, რომ ის რეალობად ვაქციო. ვეცდები, მნიშვნელოვანი შეჯიბრებებიდან უმედლოდ არ დავბრუნდე“ – მიპასუხა მან.

**და აი, რვა წელიწადია, ლადო ხინჩეგაშვილი (იგი 1991 წლის 18 აპრილს დაიბადა გორში) პირნათლად ასრულებს დანაპირებს. 10 წლისამ არკადი ხინჩიკაშვილთან დაიწყო ჭიდაობა. 2003 წლიდან ნუგზარ სხირელი ავარჯიშებს. პირველ წარმატებას 2006 წელს მიაღწია – ზარბეგ ბერიაშვილის სახელობის ტურნირში გაიმარჯვა, მომდევნო წელს ჭაბუკებში ევროპის პირველობაზე მესამე ადგილი დაიკავა. 2008 წლის სეზონი უფრო წარმატებული აღმოჩნდა: ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში ჯერ საქართველოს პირველობაზე ავჯობა ყველას, მერე ორივე ასაკში ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა, მსოფლიო პირველობაზე კი მესამე ადგილს დასჯერდა.**

უფროსებში ვერცხლის დებიუტი ჰქონდა – 2011 წელს დორტმუნდში ევროპის ჩემპიონატზე მხოლოდ ფინალური პაექრობა დათმო და მეორე ადგილს დაყაბულდა. მსგავს წარმატებას მიაღწია ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე. 2013 წელს თბილისში გამართულ კონტინენტის პირველობაზე „ბრინჯაოს“ დაეუფლა, სამაგიეროდ, შარშანწინ ფინურ ვანტაასში ევროპული კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა, ტაშკენტში მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში დასანანი მარცხით მეორე იყო, შარშან კი ლას ვეგასში თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე 57 კილოგრამ წონით კატეგორიაში ყველას აჯობა და ოქროს medალი დაიმსახურა – 10-წლიანი შესვენების შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოუტანა საქართველოს (2005 წელს ბუდაპეშტის მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიმარჯვა რევაზ მინდორაშვილმა, რომელიც ახლა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელია). სწორედ ამ წარმატებისთვის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა და სპორტის სამინისტრომ გორელი ფალავანი 2015 წლის საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს.

– უსაზღვროდ ბედნიერი და მადლობელი ვარ ჩემი გარჯის ასეთ დონეზე დაფასებისთვის, – გვითხრა ლადომ დაჯილდოების შემდეგ. – მართალია, 2015 წელს ყველა მიზანს ვერ მივაღწიე, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონობა და რიოს ოლიმპიადის საგზურის მოპოვებაც დიდი საქმეა. ლას ვეგასში უძლიერეს ფალავნებს მოვუგე: მეოთხედფინალში ყაზახ ატაშ სანაას ვძლიე, მონგოლ აზიის ჩემპიონ ბეკბაიარ ერდენებატს მეორედ ვაჯობე ნახევარფინალში, გადამწყვეტ პაექრობაში კი ირანელ სამგზის მსოფლიოს ჩემპიონ ჰასან რაჰიმს ბოლო წამებზე ავართვი მომგებიანი ქულა და 5:4 გავიმარჯვე.

**– ფინალში ირანელთან თუ რუს ვიქტორ ლებედევთან ჭიდაობა გერჩია?**

– მართალი გითხრათ, ამაზე არც მიფიქრია. მსოფლიოზე შარშან წაგებული ფინალი ხშირად მახსენებდა თავს და მოსვენებას არ მაძლევდა. ისედაც, რამდენიმე მნიშვნელოვან შეჯიბრებაზე ფინალები დავთმე, ამიტომ გადავწყვიტე, ლას ვეგასში მიმეღწია მიზნისთვის. საამისოდ კი ნებისმიერი მეტოქის დამარცხება იყო აუცილებელი. მათი ჭიდაობისთვის არც მიყურებია. მთავარია, რომ ფინალი მოვიგე, თუმცა, მსოფლიოს ჩემპიონობა და წლის საუკეთესო სპორტსმენად დასახელება ჩემთვის ახალი გამოწვევა და დამატებითი პასუხისმგებლობაა. მწვრთნელებთან ერთად ყველაფერს გავაკეთებ, რომ ქომაგები ოლიმპიურ წელსაც გავახარო.

**– შარშან ბაქოში ევროპის პირველ თამაშებზე ჭიდაობისას ბელარუს ანდრეევს სილა გააწანი...**

– იმ ინციდენტის გახსენებაც არ მინდა... მაშინ ძალიან განვიცადე, მაგრამ რაც მოხდა, იმას ხომ არაფერი ეშველებოდა, ამიტომ მთელი ყურადღება მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადებაზე გადავიტანე. საბედნიეროდ, გარჯა დამიფასდა.

**– წინ ოლიმპიური თამაშებია.**

– ამ შეჯიბრებისთვის სპეციალური პროგრამით მოვემზადები. მწვრთნელები გადაწყვეტენ, რიომდე რომელ ტურნირში გამოვიდე. მთავარი მიზანი ლონდონის ოლიმპიადის შედეგის გაუმჯობესებაა.

**ვაჟა დანელია**

◎ ჭიდაობა

# მედლებიც, ფულადი პრიზებიც

**სპორტის ახალ სასახლეში დასრულებულ მოჭიდავეთა საქართველოს 2016 წლის ეროვნული ჩემპიონატის ბოლო დღეს მედლები ხუთ წონით კატეგორიაში გათამაშდა.**

**თავისუფალ ჭიდაობაში** პირველი ევროპული თამაშების მესამე პრიზიორი ჯუმბერ ყველაშვილი (74) ზურაბ ერბოწონაშვილთან დამარცხდა და კვარცხლბეკს მიღმა აღმოჩნდა. აქ ჩემპიონობა იაკობ მაქარაშვილმა მოიპოვა. ორ წონაში ძველმა ლიდერებმა, ევროპული თამაშების ვიცე-ჩემპიონებმა – ბექა ლომთაძემ (61) და ელიზბარ ოდიკაძემ (97) გაიმარჯვეს. განსაკუთრებით ლომთაძემ გამოიჩინა თავი. მას ყველაზე ტექნიკური მოჭიდავის პრიზიც გადაეცა.

**61 კგ.** 1. ბექა ლომთაძე (ქუთაისი), 2. გიორგი რევაზიშვილი (მცხეთა), 3. შოთა ფარტენაძე (აჭარა), ლაშა ლომთაძე (ქუთაისი).

**74 კგ.** 1. იაკობ მაქარაშვილი (თბილისი), 2. ავთანდილ კენჭაძე (ამბროლაური), 3. ტარიელ გაფრინდაშვილი (თბილისი), ზურაბ ერბოწონაშვილი (საგარეჯო).

**97 კგ.** 1. ელიზბარ ოდიკაძე (თბილისი), 2. მამუკა კორძაია (აჭარა), 3. ვაჟა ომარაშვილი (მცხეთა), ზვიად მეტრეველი (ონი).

**ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში რამდენიმე შეხვედრა დამთავრდა მოულოდნელი შედეგით:** ევროპის პრიზიორმა სოსო ჯაბიძემ (98) მეორე წრეში სერგო გოგისვანიძესთან, ხოლო ევროპის ვიცე-ჩემპიონმა ვლადიმერ გეგეშიძემ (85) მათე სოფაძესთან წააგო.

ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონმა რევაზ ნადარეიშვილმა (98) ფინალში ამავე ასაკში ევროპის ორგზის გამარჯვებულ ვასილ იმერლიშვილს აჯობა, რობერტ ქობლიაშვილმა კი მათე სოფაძეს სძლია.

**85 კგ.** 1. რობერტ ქობლიაშვილი (გარდაბანი), 2. მათე სოფაძე (ბაღდათი), 3. ვლადიმერ გეგეშიძე (აჭარა), გიორგი ცირეკიძე (ქუთაისი).

**98 კგ.** 1. რევაზ ნადარეიშვილი (თბილისი), 2. ვასილ იმერლიშვილი (რუსთავი), 3. ლევან ყუფარაშვილი (გარდაბანი), მიხეილ ქაჯაია (წყალტუბო).

**შეჯიბრების დამთავრების შემდეგ სამეულები მედლებთან ერთად ფულადი პრიზებითაც დაჯილდოვდნენ: ჩემპიონებს 1000-1000, ვერცხლის მედალოსნებს – 600-600, მესამე ადგილებზე გასულთ კი – 300-300 ლარი ერგოთ.**

**ლექსო ცინცაძე**

◎ ლეგიონერი

# ზაზას მე-20 ორმაგი დუბლი და... მარცხი „კავალიერზთან“

**ზაზა ფაჩულიამ სეზონის მეოცე ორმაგი დუბლი „კლივლენდ კავალიერზთან“ დამატებით დროში წაგებულ მატჩში (107:110) შეასრულა.**



ზაზა ტრადიციულად სასტარტო 5-ეულში იმყოფებოდა და პარკეტზე 31 წუთი დაჰყო. ამ დროში საქართველოს ნაკრების კაპიტანმა „დალასს“ 14 ქულა, 12 მოხსნა, 3 პასი და ერთი ბლოკ-შოტი შესძინა. ფაჩულიამ 6-დან 4 ორქულიანი და 6-დან 6 საჯარიმო სროლა ჩააგდო. ქართველმა ცენტრმა თავისი უშუალო კონკურენტები ტრისტან ტომპსონი და ტიმოფეი მოზგოვი აშკარად დაჩაგრა.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე ლებრონ ჯეიმსი გახლდათ – 27 ქულა, 10 მოხსნა და 7 პასი. „დალასში“ 25 ქულით ჩენდლერ პარსონსი გამოირჩა.

„დალასი“ შემდეგ შეხვედრას გასვლაზე „ოკლაჰომას“ წინააღმდეგ დღეს გამართავს.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ წყალბურთი

# მეორე მარცხი

**ბელგრადში მიმდინარე წყალბურთელ ვაჟთა ევროპის 32-ე ჩემპიონატის პირველ ტურში საქართველოს ნაკრებმა (C ჯგუფი), როგორც ვწერდით, რუმინეთის ეროვნულ გუნდთან წააგო – 6:12 (1:2, 3:2, 1:5, 1:3). ამავე ჯგუფში შეჯიბრების ერთ-ერთმა ფავორიტმა იტალიამ გერმანიას სძლია – 16:5 (2:0, 6:1, 4:3, 4:1). გუშინ მე-2 ტურში ქართველები სწორედ ალემანებს დაუპირისპირდნენ, რომლებსაც მნიშვნელოვან საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის დიდი გამოცდილება აქვთ და ჯილდოებიც უხვად მოუხვეჭიათ, ოღონდ უფრო ადრეულ წლებში. 1928 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონებმა 1932 და 1936 წლებში ვერცხლის, ხოლო 1984 წელს ბრინჯაოს medალი დაიმსახურეს. 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავეს, ევროპაზე კი 2 ოქროს (1981, 1989) და 5 ბრინჯაოს medალი (1926, 1931, 1934, 1938, 1995) მოიპოვეს.**

**საქართველო-გერმანია 9:11 (3:1, 3:4, 2:3, 1:3).**

საქართველო: **ნიკოლოზ შუბლაძე, ბექა ქავთარაძე, დამირ ცრეპულია (3), მარკო ელეზი (3), ანდრია ბითაძე, მარკო ელაჩა (1), გიორგი ხვედელიანი, მიხეილ ბაღათურია, ზურაბ რურუა (2), კოტე გეგელაშვილი, ხვიჩა ჯახაია, რევაზ იმნაიშვილი, ივან სტრუიჩი, მწვრთნელები – იოვან პოპოვიჩი, ვლადიმერ ისელიძე.**

გერმანია: **როჯერ კონგი, ერიკ ბუკოვსკი (1), ტიმო ვან დერ ბოში, ჯულიან რეალი (2), ტობიას პრეუსი (1), მაურის იუნგლინგი, ჰეიკო ნოსეკი (3), რაულ შულერი (1), მარკო სტამი, მატეო ქუკი (2), მარინ რესტოვიჩი, დენის ეიდნერი (1), მორიც შენკელი.**

საქართველოს და გერმანიის წყალბურთელებს ნაკრებების დონეზე აქამდე ერთმანეთთან არასდროს უთამაშიათ. რაც შეეხება კლუბებს, 2013 წელს ჩემპიონთა ლიგის მეორე ეტაპზე თბილისის „ლიგამუსმა“ „ვასპო ჰანოვერს“ შინ უმასპინძლა და შეხვედრა ფრედ დაამთავრა, სტუმრად კი წააგო. შარშან სექტემბერში „ვასპომ“ თბილისში „ლოკომოტივს“ აჯობა – 8:6.

გუშინდელი მატჩი ქართველი წყალბურთელების იერიშებით დაიწყო და რურუამ პირველივე წუთზე ანგარიში გახსნა, რასაც ელეზის ორი გოლი მოჰყვა – 3:0. გერმანელები მოვლენათა ამგვარ განვითარებას, ეტყობა, არ ელოდნენ. მათ მხოლოდ პირველი რვაწუთიანი მონაკვეთის ბოლოს შეძლეს ერთი ბურთის გატანა. მომდევნო ორი პერიოდი თანაბარ პაექრობაში მიილია, რაზეც ანგარიშიც მეტყველებს – 8:8. ბოლო რვა წუთში ქართველმა წყალბურთელებმა რამდენიმე შეცდომა დაუშვეს, რაც ალემანებმა კარგად გამოიყენეს, პერიოდი ორბურთიანი უპირატესობით მოიგეს და მატჩში 11:9 გაიმარჯვეს.

მომდევნო შეხვედრას საქართველოს ნაკრები ხვალ იტალიასთან გამართავს, ხოლო გერმანია რუმინეთს შეხვდება.

**ლაშა დიდია**

◎ შენც, ჟერომ?!

# ფიფას გენერალური მდივანი ბილეთების უკანონო გაყიდვაშია ეჭვმიტანილი

**მსოფლიოს ფეხბურთის მმართველმა უწყებამ (FIFA) გენერალური მდივნის თანამდებობიდან ჟერომ ვალკე დაითხოვა, რომელიც 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ბილეთების უკანონო რეალიზაციაშია ეჭვმიტანილი, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თავად ვალკე დანაშაულს არ აღიარებს.**

ვალკე ამ პოსტზე 2007 წლიდან მოყოლებული მუშაობდა, ხოლო მანამდე ფიფაში მარკეტინგის დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა. ფიფას გენერალური მდივნის მოვალეობას დროებით მარკუს კატნერი შეასრულებს.

**გიორგი ზოთაძე**

◎ დღესასწაული

# ახალი — 2016 წლის ბედნიერად წარმართველი წმინდა ბასილი დიდი

**14 იანვარს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ახალი წლის პირველ დღეს ზეიმობს, დღესვე არის წინადაცვეთა იესო ქრისტესი, ასევე ხსენება წმინდა ბასილი დიდისა, 15 იანვარს კი სერაფიმ საროველის ხსენებაა.**

საგულისხმოა, რომ წმინდა ბასილი დიდი გაიზარდა წმინდანთა ოჯახში. ის სწავლობდა ათენის სკოლაში. ათენის სკოლის დამთავრების შემდეგ კი დიდხანს ცხოვრობდა მეუდაბნოეებთან. აღსანიშნავია ისიც, რომ უდაბნოში თავის განუყრელ მეგობართან — გრიგოლი ღვთისმეტყველთან ერთად ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

ცნობილია, რომ დღევანდელ დღეს ეკლესიაში წმინდა ბასილი დიდის წირვა აღევლინება! რაც შეეხება დიდმარხვის კვირაში კვირა დღეებს და ზოგიერთ სხვა დღეს, ამ შემთხვევაში წმინდა ბასილი დიდის ლიტურგიის წესი სრულდება.

წმინდა ბასილი დიდი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ჭეშმარიტი დამცველი იყო მართლმადიდებლობისა.

ბასილი დიდის თხზულებებიდან ჩვენამდე მოაღწია: „13 საუბარი ფსალმუნთა შესახებ“, „25 საუბარი სხვადასხვა შემთხვევაში“, „წიგნი სული წმინდის ღმრთაებრიობის შესახებ“.

ცნობილია, რომ ბასილი დიდი წარმოშობით საქართველოდან ყოფილა!

წმინდა ბასილი დიდი დიდი პოპულარობით სარგებლობს საქართველოში, 14 იანვრისთვის აკეთებენ ჩიჩილაკს (ტრადიციულად თხილის ხისგან), მას მოფერებით „ბასილის წვერებს“ ეძახიან.

წლის კეთილად და ბედნიერად წარმართვისთვის წმინდა ბასილი დიდს ევედრებოდნენ ქრისტიანები.

ჩვენი გაზეთის თანამშრომლები სრულიად საქართველოს კიდევ ერთხელ გილოცავთ 2016 წლის შემობრძანებას!

**გიული ლიპარტია**

◎ ო, ენავ, ჩემო!

# სამართალდამცავი თუ სამართალდაცვის?

**„დიდი კამპანიაა გაშლილი სამართალდამცავი, ძალისმიერი სისტემებისა და პროკურატურის დისკრეტიზაციის მიზნით“...**

ამ წინადადებაში სამი შეცდომაა დაშვებული.

ჯერ ერთი, პროკურატურაც ეგრეთ წოდებულ სამართალდამცავ ორგანოებს განეკუთვნება, აქ კი ცალკეა ნახსენები.

მეორე. „სამართალდამცავი“ უხეირო თარგმანია რუსული სიტყვისა „правоохранительный“. მხედველობიდან გამორჩენიათ, რომ „დამცავი“ (**რაც** იცავს; შდრ. „დამცველი“, **ვინც** იცავს ვისმე, რასმე. ქეგლ) ტექნიკური ტერმინია, რომელიც „მცველთან“ (მაღალი ძაბვის შტეფსელის... მცველი) ერთად უხვად იხმარება შესაბამის ტექსტებში — მეხდამცავი, დამცავი სათვალე, დამცავი თოკი, დამცავი მექანიზმი („ვინაიდან სალიტერატურო ენას დამცავი მექანიზმი აქვს, გარემოებისდაკვალად ხერხდება კონტროლი მისი „შემღვრევის ხარისხისა“).

სამწუხაროდ, თავში მოყვანილი წინადადების მსგავსად უადგილოდ ვხმარობთ ამ სიტყვას: **„სამართალდამცავ** სისტემაში არსებობს კიდევ სპეციალური სამსახური“; „**სამართალდამცავებმა** დააკავეს... სოფელ ზემო ალვანში მცხოვრები...“ და ა. შ.

ამ ტერმინმა ოფიციალური დოკუმენტების ენაშიც შეაღწია. მაგალითად, პოლიციისა და გენერალური ინსპექციის შესახებ კანონებში ვხვდებით ასეთ კონსტრუქციებს: **„პოლიცია... არის აღმასრულებელი ხელისუფლების სამართალდამცავი ... სისტემა“; „...შემოსავლების სამსახური არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება, რომლის ცალკეული სტრუქტურული ერთეულები ასრულებენ სამართალდამცავი ორგანოს ფუნქციებს“** (აქტი) და მისთ.

როგორც ვხედავთ, საქმე გვაქვს პრობლემად ქცეულ სიჭრელესთან, რომლის დაძლევა არც ისე ძნელია. აქ ორი ვარიანტი შეიძლება იყოს. ერთია „სამართალდაცვის“ (ზოგადად — „სამართალდამცველები“), მეორეა „სამართალდაცვითი“ (ოთარ გამყრელიძე). ანალოგიას თუ მივიღებთ მხედველობაში (სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი, საკუთრების დაცვის პოლიცია, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური და სხვ.), მაშინ თამამად შეგვიძლია დავნერგოთ (ინერგება კიდეც კარგა ხანია) სიტყვა **„სამართალდაცვის“** (ორგანოები, სისტემა, სტრუქტურები...): „...აპარატი კოორდინაციას და ორგანიზაციას უწევს თავდაცვისა და უშიშროების, **სამართალდაცვის,** საშინაო და საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხთა, ადამიანის უფლებათა დაცვისა და წახალისების და სხვა სტრატეგიათა შემუშავებას... თავისი საქმიანობის ეფექტიანად განხორციელების მიზნით საქართველოს ინტერპოლის **ეცბ** თანამშრომლობს: ...ინტერპოლის წევრი ქვეყნების **სამართალდაცვის** ორგანოებთან.... საქართველოს **სამართალდაცვის** ორგანოებთან...“. ეს ამონარიდები მოყვანილია საქართველოს პრეზიდენტის სხვადასხვა დროს გამოცემული აქტებიდან.

რაც შეეხება სიტყვას **„სამართალდაცვითი“,** იგი შეიძლება ვიხმაროთ იმ შემთხვევაში, როცა საქმე ეხება, მაგალითად, წესს, ღონისძიებებს, ზომებს, მოქმედებას და ა. შ.

მესამე. საანალიზო წინადადებაში არის კიდევ სიტყვა „ძალისმიერი“. რას ნიშნავს იგი? „ძალაზე დაყრდნობილი, ძალის გამოყენებით შესრულებული, **ძალისმიერი თამაში** (ფეხბურთში), **ძალისმიერი** ვარჯიში (დავუმატებდით: **ძალისმიერი მოქმედება, ხერხები, მეთოდები...** ავტ.“), — ასე ხსნის მას „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“.

შედარებით ახალი რუსული გამოთქმა силовые структуры ასე გადმოვაქართულეთ: **„ძალისმიერი** სტრუქტურები“: „საქართველოს **ძალისმიერ** სტრუქტურათა ხელმძღვანელები“, **„ძალისმიერი** მინისტრები(?!)“, „...იქ საქართველოს არც ერთი **ძალისმიერი** სტრუქტურის წარმომადგენელი არ ყოფილა“ და სხვ. (შდრ. „აფხაზეთის პრობლემის **ძალისმიერი** გადაწყვეტა შეუძლებელი იქნება“).

რა უნდა გვეხმარა? რა და „ძალოვანი“. „ძალური“ ტექნიკური ტერმინია; „ძალმოსილი“ სხვაგვარ კონტექსტს უფრო შვენის.

აქედან გამომდინარე, უნდა იყოს:

1. **სამართალდაცვის** ორგანოები, სტრუქტურები... ან, ზოგადად, **სამართალდამცველები.**
2. **ძალოვანი** სტრუქტურები...

ეს არის და ეს.

**ოთარ კაპანაძე**

**დედა ზაირა ლომაძე, ძმა გაბრიელ ფირცხალაიშვილი, და მარიკა ფირცხალაიშვილი, რძალი თეა არზიანი, სიძე გურამ წოწკოლაური იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**ლელა ფირცხალაიშვილი**

**პანაშვიდი 14 I, 16 სთ. მისამართი: თბილისი, მუხიანის II მ/რ კორპ. 11, I სადარბაზო, V სართული. დაკრძალვა ლანჩხუთში, მშვიდობის ქუჩა №74, 17 I, 15 სთ.**

**ვაჟა ნადირაშვილი ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს ომარ გოცირიძეს ძმის**

**გიორგი გოცირიძის**

**გარდაცვალების გამო.**

◎ ეკოლოგიის გათვალისწინებით

# სამი მილიონი ლარი ახალი გზის სარეაბილიტაციოდ

**თბილისის მერიაში გარემოსდაცვით საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე კოჯორი-სამადლოს დამაკავშირებელი გზის მონაკვეთის კაპიტალური რეაბილიტაციის პროექტთან დაკავშირებით იმსჯელეს. ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურის უფროსმა და კეთილმოწყობის სამსახურის წარმომადგენელმა დამსწრეებს პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები გააცნეს.**

**ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურის უფროსის ნინო სულხანიშვილის განცხადებით, კოჯორი-სამადლოს დამაკავშირებელი გზის კაპიტალური მოწყობის სამუშაოები სხვა სარეაბილიტაციო ღონისძიებებთან ერთად 13-14 ივნისის სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით ხორციელდება. „საგზაო სამუშაოების შეუფერხებლად წარმოების მიზნით საჭირო გახდა გზის გარკვეული მონაკვეთის ნარგავებისგან გათავისუფლება. 100 ხე-მცენარის მოჭრისა და 16 ნარგავის გადარგვის ნებართვის მისაღებად უკვე მოგვმართა კეთილმოწყობის სამსახურმა. მესმის, რომ ხეების მოჭრაზე საზოგადობის რეაქცია მტკივნეულია და ასევე მტკივნეულია ეს თითოეული ჩვენგანისთვის, მაგრამ პროექტის მნიშვნელობის გათვალისწინებით ამ ნარგავების მოჭრა თუ გადარგვა გარდაუვალია, საკომპენსაციო გამწვანების ღონისძიებებს ჩვენი სამსახური შესაბამის სეზონზე ჩაატარებს“ — განაცხადა ნინო სულხანიშვილმა.**

**კეთილმოწყობის სამსახურის წარმომადგენელმა კოჯორი-სამადლოს გზის რეაბილიტაციის პროექტის პრეზენტაციისას პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების საჭიროებაზე ისაუბრა. მისი თქმით, სტიქიის შედეგად წყნეთი-ბეთანიის გზის მონაკვეთის დაზიანებამ აღნიშნული გზის დატვირთვა გაზარდა, გზის საფარის სავალალო მდგომარეობის გამო კი, გამტარუნარიანობის გაზრდის მიზნით, დღის წესრიგში დადგა გზის კაპიტალური აღდგენის სამუშაოების დაუყოვნებლივ ჩატარება. შეხვედრაზე არასამთავრობო ოგანიზაციების რამდენიმე წარმომადგენლის მხრიდან გამოითქვა მოსაზრება, რომ მსგავსი სახის პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების დაგეგმვა უნდა ხდებოდეს გარემოზე მიყენებული ზიანის საფუძვლიანი შეფასების საფუძველზე.**

**ნინო სულხანიშვილის განმარტებით, ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურის სტრუქტურაში უახლოეს მომავალში შეიქმნება გარემოს დაცვის მონიტორინგის განყოფილება, რომელიც ეკოლოგიურად შეისწავლის მერიის მიერ განსახორციელებელ პროექტებს, შეაფასებს მათი გარემოზე მიყენებულ ზიანს, შემდგომი ღონისძიებები კი აღნიშნული შეფასების გათვალისწინებით ჩატარდება. თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის დაკვეთით, კოჯორი-სამადლოს დამაკავშირებელი გზის 6 კმ-იან მონაკვეთზე სარეაბილიტაციო სამუშაოებს შპს „ჯიარჯი“ აწარმოებს. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან 3 009 000 ლარი გამოიყო.**

◎ კრიმინალი

# თურქები და ირანელები ნარკოტიკების შემოტანას არ ერიდებიან

**შემოსავლების სამსახურის ცნობით, ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტების შემოტანის შემთხვევები გამოავლინეს მებაჟე-ოფიცრებმა 8 იანვარს, საბაჟო გამშვებ პუნქტზე „ვალე“. კერძოდ, ავტომობილში, რომელსაც ირანის მოქალაქე ჰ.ჰ. მართავდა, ეჭვის საფუძველზე დათვალიერების შედეგად, 10 აბი ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტი** OPIDOL **აღმოაჩინეს.**

**იმავე დღეს, ასევე ირანის მოქალაქე მ.ჰ.-ის კუთვნილი ბარგის ეჭვის საფუძველზე დათვალიერების შედეგად, შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტები** DIPHNOKIM **— 20 აბი და** ACETAMINOPHEN CODEINE **— 10 აბი აღმოაჩინეს.**

**საქმე შემდგომი რეაგირების მიზნით გადაეცა შსს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტს.**

**ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტის უკანონო შემოტანის მცდელობა გამოვლინდა 11 იანვარსაც, საბაჟო გამშვებ პუნქტზე „სარფი“. თურქეთის რესპუბლიკის მხრიდან შემოსული საქართველოს მოქალაქე ნ.ი.-ის კუთვნილი ბარგის ეჭვის საფუძველზე დათვალიერების შედეგად მებაჟე ოფიცრებმა 39 აბი** APRANAX PLUS **აღმოაჩინეს.**

◎ „მაკოცე მაგრად“...

# როგორ დაიწერა პოპულარული სიმღერა „ბესამე მუჩო“

**პოპულარული სიმღერა „ბესამე მუჩო“ მექსიკელმა კომპოზიტორმა კონსუელო ველასკესმა ჯერ კიდევ 1940 წელს დაწერა, თუმცა პოპულარობას დღემდე ინარჩუნებს. ესპანურ ენაზე დაწერილი სიმღერა 20-ზე მეტ ენაზე ითარგმნა და სხვადასხვა ინტერპრეტაციით მსოფლიოს საუკეთესო ჯგუფებმა და მომღერლებმა შეასრულეს.**

სხვადასხვა ეპოქაში მრავალი სიმღერა შექმნილა, რომელიც მსოფლიო ჰიტად ქცეულა, თუმ-

ცა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ „ბესამე მუჩო“ („მაკოცე მაგრად“) კონსუელო ველასკესმა 15 წლის ასაკში დაწერა. წლების შემდეგ, როდესაც მას ჰკითხეს, ვინ იყო მისი სიყვარული, რომელმაც ასეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე, ველასკესის პასუხი ყველასთვის გასაოცარი აღმოჩნდა. მისი თქმით, სანამ ამ სიმღერას დაწერდა, მას არც კი უკოცნია ვინმესთვის. ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ მისი ფანტაზიის ნაყოფი იყო.

სიმღერას სხვადასხვა დროს სხვადასხვა სტილში ასრულებდნენ ისეთი დიდი მომღერლები, როგორიცაა **პლასიდო დომინგო, ელვის პრესლი, ხოსე კარერასი, ჯგუფი „ბითლზი“** და ა.შ.

კონსუელო ველასკესი დაიბადა 1924 წლის 21 აგვისტოს ქალაქ გუზმანში, მექსიკაში. მან პიანინოზე დაკვრა 4 წლის ასაკში დაიწყო. ველასკესი 6 წლის ასაკში უკვე დიდ სცენაზეც გამოდიოდა. იგი მოგვიანებით სასწავლებლად გაემგზავრა მექსიკის დედაქალაქ მეხიკოში და სწავლა განაგრძო მექსიკის ეროვნულ კონსერვატორიაში, სადაც სიმღერების წერას მოჰკიდა ხელი და, ამავდროულად, ცნობილი პიანისტი გახდა.

ბესამე მუჩო პირველად 1941 წელს ჩაიწერა. ეს სიმღერა გახდა მეოცე საუკუნის უდიდესი ბიგ-ბენდის ჰიტი მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში.

1999 წელს „ბესამე მუჩო“ ერთადერთი მექსიკური სიმღერა გახდა, რომელიც აშშ-ის ჰიტ-პარადში მთელი სამი თვის განმავლობაში პირველ ადგილს ინარჩუნებდა. „ბესამე მუჩო“ საუკუნის სიმღერად აღიარეს.

ამ სიმღერამ ველასკესს უდიდესი პოპულარობა მოუტანა. ის ჰოლივუდში ლეგენდარულ უოლტ დისნეისთან შესახვედრად მიიწვიეს და მის ფილმ „უოლტ დისნეიზე“ თანამშრომლობაზეც დათანხმდა. ველასკესი ასევე მონაწილეობდა ცნობილ რუსულ ფილმში – „მოსკოვს ცრემლების არ სჯერა“, რომელმაც 1980 წელს, როგორც საუკეთესო უცხოურმა ფილმმა „ოსკარი“ აიღო.

ველასკესი ამავდროულად უამრავი სიმღერის ავტორია, რომლებმაც ასევე დიდი წარმატება მოუტანეს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია: „Yo no fui“, „Anoche“, „Al nacer este dja“, „Aunque tengas razon“, „Deiame quererte“ და სხვ. მიუხედავად წარმატებისა და საზოგადოების სიყვარულისა, კონსუელო ველასკესმა ცხოვრება მარტოობაში გაატარა და არასდროს დაქორწინებულა.

კონსუელო ველასკესი 2005 წლის 22 იანვარს გარდაიცვალა.

plus.kvira.ge

◎ ინფორმაცია

## საქართველო ამერიკულ გამოფენაზე

**საქართველომ** New York Times Travel Show-ს გამოფენაში მიიღო მონაწილეობა. უდიდეს გამოფენა-ბაზრობაზე ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან ერთად წარმოდგენილი იყო რამდენიმე ქართული კომპანია.

ნიუ-იორკში საერთაშორისო გამოფენას მსოფლიოს 150 ქვეყნიდან 28000-ზე მეტი ტურიზმის სფეროს პროფესიონალი დაესწრო. New York Times Travel Show-ზე წარმოდგენილი იყო 500-ზე მეტი კომპანია. გამოფენის პარალელურად საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი ჩოგოვაძე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ტურისტული კომპანიებისა და ასოციაციების ხელმძღვანელებს შეხვდა. ისინი საქართველოს ტურისტული ბაზრით დაინტერესდნენ.

◎ კადრი

◎ ციცხალი ანეკდოტები

**სამედიცინო** ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ პანიკურად მეშინია ექიმებისა... განსაკუთრებით ჩემი თანაკურსელებისა!

* * *

– **რაღაც** ძალიან მცივა, თითქმის გავიყინე, – ეწუწუნება გოგო ბიჭს.

– ჩართე გამათბობელი.

– სინამდვილეში ეს ჩემი წუწუნი ერთგვარი მინიშნება იყო...

– გავიგე, სულელი კი არა ვარ. შენ გინდა, რომ გამათბობელი მე ჩავრთო.

* * *

**სასწრაფოდ** ვეძებ ქმარს ჩემი დაქალისთვის! თორემ ის ისეთი საქმიანია, ყველგან დასეირნობს, როცა უნდა და როგორც უნდა, არავისგან არ ითხოვს ნებართვას... ეს მაგიჟებს სწორედ...

* * *

**ოპტიმისტები** ინგლისურს სწავლობენ. პესიმისტები – ჩინურს, რეალისტები კი – კალაშნიკოვის ავტომატს.

* * *

– **ეძიმო**, აი მე საღამოხანს ცხვრებს ვითვლი და მაშინვე მეძინება.

– ეს კარგია.

– რა არის ამაში კარგი? დილისთვის ერთი-ორი ცხვარი მაკლია ხოლმე. მე ხომ მწყემსი ვარ.

**გამოიწერეთ:**

**6 თვით – 60 ლარი,**
**1 წლით – 120 ლარი.**

მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.

ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.

ხელმოწერის ინდექსი
66434

საქართველოს
რესპუბლიკა

SAKARTVELOS
RESPUBLIKA

მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

ISSN 2233-3851

9 772233 385001

**ავტორთა საყურადღებოდ!**

**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.**

*გმადლობთ, რომ ყველაზე ძველ და სანდო გაზეთს კითხულობთ, ყოველი ნომრის შეძენით თქვენ აღონიერებთ მართალ სიტყვას!*